შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოდის 1937 წლიდან

№20 (9.536)

8 ივნისი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

გიორგი ღვინიაშვილმა ქედელებს ლომისობა პირადად მიულოცა

6 ივნისს კახეთის მხარის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი,ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ესტუმრა. მან ქედელებს ლომისობის დღესასწაული პირადად მიულოცა. იმავე დღეს ღვინიაშვილი სოფელ ქვემო ქედის მოსახლეობას შეხვდა და სოფელში მიმდინარე სამუშაოების შესახებ მათი აზრი მოისმინა. გუბერნატორმა ბავშვებს წინა ვიზიტისას დაპირებული ბურთებიც გადასცა.

ღვინიაშვილმა სოფელ ზემო ქედის კულტურის სახლი მოინახულა და იქ მიმდინარე სარემონტო სამუშაოებსაც გაეცნო.

ძაღლის უფლების მიღმა

თუკი ნაგვის ბუნკერთან ახლოს ჩაივლით, თქვენ შეიძლება იქედან მოულოდნელად ძაღლის ამოყოფილმა თავმა დაგაფრთხოთ. ეს დედოფლისწყაროელებისთვის საკმაოდ ნაცნობი სურათი გახლავთ. თუმცა მარტო მოულოდნელობა და შიში რა მოსატანია იმ საფრთხესთან შედარებით,რაც ნებისმიერ ადამიანს ძაღლის დაკბენის შემთხვევაში ელის. ცოფის გავრცელების საშიშროებას ხომ სწორედ ეს, ერთი შეხედვით უწყინარი, მაგრამ უკვე გაველურებული ადამიანის ყოფილი მეგობარი ქმნის. (იქნებ მისი მოძულებისთვის მასზე გაბრაზებული და გულმოსულიც)?!

მაწანწალა ძაღლების პრობლემა დედოფლისწყაროსთვის კვლავ მოუგვარებელ საკითხად რჩება. მოსახლეობა ამბობს, რომ არა მარტო ღამით, არამედ დღისითაც მათ უსაფრთხოებას ქუჩის ძაღლები არღვევენ. ისინი განსაკუთრებით იმ ადგილებს ეტანებიან, სადაც ნაგვის ურნებია დამონტაჟებული. დედოფლისწყაროელები თვლიან, რომ სწორედ უსახურავო ნაგვის ბუნკერებია ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე მაწანწალა ძაღლების უპრეცედენტო გავრცელებაში.

არავისთვის საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ ბოლო პერიოდში იმატა გარეული ცხოველების: მგლის, ტურისა და მელიის დასახლებულ პუნქტებში გამოჩენის შემთხვევებმა. ამას თავისი ხელშემწყობი მიზეზები აქვს, თუმცა, მოსახლეობას ისინი ნაკლებად აინტერესებს. მტაცებლები არაერთხელ „სტუმრობდნენ“ სოფლის მოსახლეობასაც და მათ პირუტყვსაც. იყო შემთხვევები, როცა მსხვილფეხა საქონლის გარდა, საფრთხე შეექმნა ადამიანთა სიცოცხლესაც. ამ მიზნით ბევრგან სამონადირეო ჯგუფებიც შეიქმნა. დედოფლისწყაროელების შეფასებით კი, მგელზე არანაკლებ საფრთხეს ქმნიან მაწანწალა ძაღლებიც, რომლებიც ხროვებად ცხოვრობენ და, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ადამიანზე თავდასხმაზეც არ იტყვიან უარს. ამიტომ დედოფლისწყაროში დღეს აქტუალურია ფრაზა: “გინდ მგელმა შემჭამოს და გინდ მგლისფერმა ძაღლმაო“.

- „ეს რეალობად რომ არ იქცეს, ზომები სასწრაფოდაა მისაღები. არ ვიცით, ვინ უნდა მოაგვაროს პრობლემა, ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერესებს, რომ ბავშვების სათამაშოდ გამოშვების აღარ გვეშინოდეს“ - აცხადებენ გაზეთ „შირაქთან“ საუბარში დედოფლისწყაროელები.

მოსახლეობის შეშფოთების მიზეზი ადამიანების სიცოცხლის ხელყოფის გარდა, მათი და მათი შვილების ცოფით დასნებოვნების გაზრდილი რისკი გახლავთ. დედოფლისწყაროს რამდენიმე სოფელში სწორედ ცოფის შემთხვევების მატების გამო გამოცხადდა კარანტინი. საფრთხის გარდა მოსახლეობას ისიც აწუხებს, რომ ვაქცინაცია ფასიანია.

(გაგრძელება გვ.3)

ცაზე გამოჩენილ უცნაურ ნათებას ასტრონომები რაკეტის აფეთქებას უკავშირებენ

ცაზე 7 ივნისს ღამით გამოჩენილ უცნაურ ნათებას აბასთუმნის ობსერვატორიის ასტრონომი და ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, გიორგი ჯავახიშვილი რაკეტის აფეთქებას უკავშირებს. მისი განმარტებით, რაიმე ასტრონომიულ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

„ეს დიდი ალბათობით იყო რაკეტის აფეთქების შედეგად გამოწვეული ნათება, რის შემდეგაც მისი ნამსხვრევები სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტა. ეს საშიში მოვლენა არ არის, თუ რა თქმა უნდა, ნამსხვრევები ვინმეს არ მოხვდება“, - აღნიშნა გიორგი ჯავახიშვილმა.

გუშინ ღამით, თბილისის ცაზე უცნაურ ნათებას სოციალურ ქსელებში არაერთგვაროვანი გამოხმაურებები მოჰყვა. გავრცელებული ინფორმაციით, მოსახლეობამ ცაზე სპირალისებული ნათება შენიშნა.

სოციალურ ქსელებში უცნაურ ნათებას კომეტის გამოჩენას ან რაკეტის კვალს უკავშირებდნენ. ასევე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მსგავსი ნათება წუხელ სომხეთსა და აზერბაიჯანშიც შენიშნეს. მოქალაქეებმა გაიხსენეს, რომ მსგავს მოვლენას ადრე ნორვეგიაში ჰქონდა ადგილი და ის რუსეთის მიერ გაშვებულ რაკეტას უკავშირდებოდა, რომელმაც კონტროლი დაკარგა და ბრუნვა დაიწყო.

ამასთან, რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა გავრცელეს ცნობა, რომ გუშინ რაკეტა „ტოპოლ“-ი გამოსცადეს (ინტერპრესნიუსი).

სამთაწყაროში მოქმედი ანსამბლი დახმარებას ითხოვს

გვ. 6

წარმატებული პროექტი – საუკეთესო შედეგები

გვ. 4

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

ჰილარი კლინტონი: - ყველაზე მნიშვნელოვანი არის არჩევნები საქართველოში და არა რუსეთის სამხედრო წვრთნები

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი მიიჩნევს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი შემოდგომაზე არის არჩევნები საქართველოში და არა რუსეთის სამხედრო წვრთნები საქართველოსთან ახლოს, რომელიც, შესაძლოა, სწორედ არჩევნების თარიღს დაემთხვეს.

როგორც ჰილარი კლინტონმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად ბათუმში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, საუკეთესო, რაც საქართველომ შეიძლება გააკეთოს უსაფრთხოების, დემოკრატიულობისა და საერთაშორისო რეპუტაციის გაზრდისთვის, არის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება.

„რა თქმა უნდა იქნება სამხედრო ვარჯიშები, მანევრები, მაგრამ მნიშვნელოვანი მოვლენები შემოდგომაზე მოხდება თავად საქართველოში და ქართველმა ხალხმა ძლიერი მესიჯი უნდა გაუგზავნოს ნებისმიერ ადამიანს მსოფლიოში ამ არჩევნებით“, - აღნიშნა მან და დასძინა, რომ აშშ გააგრძელებს კონსულტაციებს საქართველოს ხელისუფლებასთან.

კლინტონი დარწმუნებულია, რომ 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ყველაფერი ქართველ ხალხზე იქნება დამოკიდებული.

„მჯერა, რომ ეს იქნება ძალიან დიდი ინდიკატორი იმ პროგრესისა, რაც საქართველომ განიცადა დემოკრატიის გზაზე. საქართველოს პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის დროს ჩვენ გამოვთქვით იმედი, რომ ეს იქნება სამოდელო და სანიმუშო არჩევნები ამ გარემოში“, - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა.

კლინტონმა მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, ჩამოიყვანოს დამკვირვებლები, რადგან, მისივე თქმით, გამჭვირვალობისა და სამართლიანობისთვის მონიტორინგი აუცილებელი პროცესია.

გიგა ბოკერია – ძალაუფლების გადაცემა საქართველოში ყველა არჩევნებზე ხდება

ძალაუფლების გადაცემა საქართველოში ყველა არჩევნებზე ხდება, - ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ განაცხადა.

ბოკერია გამოეხმაურა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონისა და მიხეილ სააკაშვილის ერთობლივ პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ელოდება საქართველოში დემოკრატიულად მოხდეს ძალაუფლების გადაბარება 2013 წელს. გიგა ბოკერიას განმარტებით, საქართველოში ყველა არჩევნებზე ხდებოდა ძალაუფლების გადაბარება და ასე მოხდა წინა საპარლამენტო არჩევნებზეც.

„ხელისუფლების გადაცემა მოხდება მასზე, ვისაც საქართველოს მოსახლეობა დაუჭერს მხარს. თითოეულ ჯერზე ხელისუფლებას ირჩევს ამომრჩეველი და არა სხვა გარეშე ძალა, თუნდაც მეგობარი“, - განაცხადა გიგა ბოკერიამ. მისივე თქმით, ეს საქართველოს მოსახლეობის გადასაწყვეტია და იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ხელისუფლება საზოგადოების დაკვეთით სამართლიან არჩევნებს ჩაატარებს.

გიგა ბოკერიას განცხადებით, სამართლიანი არჩევნების ჩატარება არის ქართველი ხალხის და ქართული საზოგადოების ნება და არა რომელიმე პარტნიორის რეკომენდაცია. მისივე თქმით, ეს არის მთავარი ფუნდამენტი საქართველოს დემოკრატიისა და თავისუფლების. „შემდეგი არჩევნები იქნება თავისუფალი, სამართლიანი და იმედი გვაქვს, რომ პროცედურა ხარისხობრივად გაუმჯობესდება“, - აღნიშნა ბოკერიამ.

შემოსავლების სამსახურმა მეწარმეებთან შეხვედრა დაიწყო

7 ივნისს სასტუმრო ,,შერატონ მეტეხი პალასში” შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები მეწარმეებს შეხვდნენ.

როგორც შეხვედრაზე შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილემ ლილი ბეგიაშვილმა განაცხადა, მეწარმეებს უკვე 15 ივნისიდან www.rs.ge საშუალებით, შესაძლებლობა ექნებათ, დარეგისტრირდნენ ,,ფორუმზე”, აირჩიონ მათთვის სასურველი თემა, შეხვედრის ადგილი და გაიგონ ყველა სიახლე ბიზნესის უკეთ წარმართვის მიზნით. ,,ფორუმით” გადამხდელებს საშუალება მიეცემათ, შემოსავლების სამსახურს გაუზიარონ საკუთარი მოსაზრებები, გაეცნონ კოლეგების აზრს, დასვან კითხვები და მიიღონ პასუხები.

,,შემოსავლების სამსახური, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, მეწარმეებთან ინტენსიურ დიალოგს იწყებს. ვებ-გვერდზე უკვე განთავსებულია ის თემატიკა, რომელიც მათ აინტერესებთ და მათთვის აქტუალურია. იმისდა მიხედვით, თუ რომელი მეწარმეს რა პრობლემა აწუხებს და რომელ თემაზე ისურვებს ჩვენგან განმარტებების მიღებას, ასეთი ტიპის შეხვედრები ყოველ კვირეულად შედგება. გარდა ამისა, ეს ფორუმი არის უზრუნველყოფილი ელექტრონული საშუალებითაც, სადაც მეწარმეებს ელექტრონულად დარეგისტრირება შეეძლებათ და თვითონ გადაწყვეტენ, რა თემატიკაზე სურთ საუბარი. ასეთი შეხვედრები არა მარტო თბილისში, არამედ მთელ საქართველოში გაიმართება”– აღნიშნა ლილი ბეგიაშვილმა.

მისი თქმით, ამ დღეს პირველი შეხვედრა იმართება, რომლის მთავარი თემაც მეწარმეებისთვის უბნის საგადასახადო ოფიცრის სერვისის გაცნობაა.

,,შემოსავლების სამსახურის მთავარი მიზანია ყველა კერძო კომპანიასთან და ინდივიდუალურ მეწარმესთან უშუალო და სისტემატური კონტაქტის დამყარება იმისათვის, რომ გადაწყვეტილებები ბიზნესის წარმომადგენლებთან შეთანხმებით, მათი სურვილებისა და შენიშვნების მაქსიმალური გათვალისწინებით მივიღოთ” - აღნიშნა ბეგიაშვილმა.

,,ასეთი შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია იმ თავლსაზრისით, რომ ჩვენ ვღებულობთ კონსულტაციებს, რაც აუცილებელია ჩვენი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის”- აღნიშნა შ.პ.ს. სან-მარკოს ხელმძღვანელმა ინეზა სართაძემ.

მისი თქმით, ის ძალიან კმაყოფილია იმ ცვლილებებით, რასაც შემოსავლების სამსახური ახორციელებს.

მიკროავტობუსებში რადიო საშუალებებზე ხმოვანი სიგნალები გაითიშება

მიკროავტობუსებში რადიო საშუალებებზე ხმოვანი სიგნალები გაითიშება, - შესაბამისი განცხადება კომპანია “თბილისის მიკროავტობუსმა” გაავრცელა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომპანიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალაქ თბილისში მგზავრთა გადაყვანას ახალი, ყვითელი მიკროავტობუსებით, გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება დამოუკიდებელ იურიდიულ პირთან სარეკლამო მომსახურების თაობაზე. ხელშეკრულების მიხედვით, სარეკლამო კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მიკროავტობუსებზე გარე რეკლამის განთავსება, ხოლო სამარშრუტო ტაქსების სალონში მონიტორების დამონტაჟება, სადაც განთავსდება სხვადასხვა ხმოვანი სარეკლამო რგოლები.

“თავის მხრივ, ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელმა სატრანსპორტო კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ სარეკლამო რგოლების მომხმარებლისთვის შეუფერხებლად მიწოდება, მათი გარჩევადობა და სმენადობა”, – ნათქვამია განცხადებაში.

მასში აგრეთვე აღნიშნულია, რომ მიკროავტობუსებში მონიტორების მონტაჟი უკვე მიმდინარეობს. “აღმოჩნდა, რომ ხმოვანი სარეკლამო რგოლის ეკრანზე განთავსებას სამარშრუტო ტაქსებში გამოყენებული რადიო საშუალებები ხელს უშლის. აღნიშნული პრობლემის მოგვარების უზრუნველსაყოფად, სარეკლამო კომპანიამ მიკროავტობუსების მფლობელ კომპანიებს წერილობითი მოთხოვნით მიმართა, რათა მათ სრულყოფილად შეასრულონ დამკვეთი კომპანიების წინაშე აღებული ვალდებულება და შეუფერხებლად გაუშვან სარეკლამო რგოლი მონიტორებზე. შპს ,,თბილისის მიკროავტობუსის” ტექნიკური სამსახურის გადაწყვეტილებით, პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელი გახდა მიკროავტობუსებში რადიო საშუალებებზე ხმოვანი სიგნალების გათიშვა”, - აცხადებენ “თბილისის მიკროავტობუსში”.

მიხეილ სააკაშვილმა ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიები გადასცა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისის მთავრობის სახლში ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიები გადასცა.

შოთა რუსთაველის სახელობის პრემია ხელოვნების დარგის 7 წარმომადგენელს მიენიჭა. კერძოდ, კინორეჟისორებს ალექსანდრე რეხვიაშვილსა და მიხეილ კობახიძეს; მუსიკოსებს თენგიზ ამირეჯიბს, მანანა დოიჯაშვილს, ხატია ბუნიათიშვილს და ნიკოლოზ რაჭველს “ქეთო და კოტეს” ახალი მუსიკალური ვერსიის შექმნისათვის;

რუსთაველის პრემია ასევე გადაეცა მწერალ ვახტანგ ჯავახაძეს.

საქართველოს ეროვნული პრემიები კი ცალკეულ ავტორებსა და ავტორთა ჯგუფებს მიენიჭა.

თელავის თეატრის მსახიობები მმართველად პაატა გულიაშვილის დანიშვნას დადებითად აფასებენ

თელავის თეატრის ახალი მმართველი პაატა გულიაშვილი დასის წევრებს კახეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ გიორგი სიბაშვილმა და თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელმა პეტრე კიკნაძემ წარუდგინეს.

მსახიობები თეატრის მმართველად პაატა გულიაშვილის დანიშვნას დადებითად აფასებენ და აცხადებენ, რომ გულიაშვილი თეატრის აღორძინებას შეძლებს.

„მე ვფიქრობ, რომ პაატა ყველაფერს გააკეთებს, რომ ის რაღაც, რაც არ გამოვიდა, გამოვიდეს და ყველაფერი კარგად იყოს. ამბიციურია, წინამორბედის ცუდი მმართველობა სტიმულს მისცემს, რომ კიდევ უფრო კარგად წარმოაჩინოს საკუთარი თავი. თეატრის ასაღორძინებლად პირველ რიგში უნდა გაზარდოს თეატრის ბიუჯეტი, უნდა მოიყვანოს მსახიობები და რეჟისორები, უნდა დავდგათ პრემიერები და ასე, უნდა მიხედოს თეატრს. დღეს ჩვენთან საუბრისას წინასწარი დაპირებები არ გაუკეთებია. როგორც იციან ხოლმე, თქვა, რომ შეეცდება ყველაფერი გააკეთოს. ნახავთ, რომ მე თქვენთვის ყველაფერს გავაკეთებო“ - განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს თელავის თეატრის მსახიობმა ვანო იანტბელიძემ.

თელავის თეატრის რეჟისორის გოგი ჩაკვეტაძის განცხადებით, დუტა სხირტლაძის შემცვლელად პაატა გულიაშვილის დანიშვნამ დასის წევრები გაახარა. „ძალიან კარგია, მივესალმები. ადრე უნდა ექნათ ეს და არა ორი წლის დაგვიანებით. იმ უმსგავსის მოყვანა მაშინვე შეცდომა იყო, უნდა მოეყვანათ თავის დროზე ეს და ასეთი პრობლემებიც არ იქნებოდა. კარგია, ნიჭიერია, მარჯვეა, ჩვენიანია, სერიოზული კაცია, ყალთაბანდი არ არის და ტაკიმასხარა. ისეთი სერიოზულია, რომ ხალხია, თუ ერია თუ ბერია, ყველას წაადგება როგორც კარგი მეოჯახის შვილი, კარგი ადამიანი და ნიჭიერი ხელოვანი. დასის წევრებიც ჩემსავით ფიქრობენ და თუ ვინმე ასე არ ფიქრობს, ცივი წყალი დალიოს და ასპირინი მიაყოლოს. პაატას კარგი გეგმები აქვს, მაგრამ გეგმას ასრულება უნდა. რომ დააქცია წინამორბედმა და დაუტოვა საშინელი ვალები, კიდევ გასარკვევია, რა ვალებია, უნდა გავართვათ თავი რაღაცნაირად, ყველა მხარში უნდა დავუდგეთ,“ - აღნიშნა გოგი ჩაკვეტაძემ.

თელავის თეატრის ყოფილი მმართველი დუტა სხირტლაძე კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა თანამდებობიდან 2012 წლის 14 მაისს გაათავისუფლა, 4 ივნისს კი მმართველად პაატა გულიაშვილი დაინიშნა.

მორიგი სამუშაო შეხვედრა პროექტის ფარგლებში

უკვე მესამე თვეა ქალაქ დედოფლისწყაროში, პროექტის ,,კლიმატის ცვლილების ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება, ფარგლებში,ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ხორციელდება საპილოტე პროექტი ,,საერთო სარგებლობის საძოვრების მდგრადი მართვა“, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია: საძოვრის განახლების რამდენიმე მეთოდის ცდაზე დაყენება, 25 ჰა საძოვარზე აზოტოვანი სასუქის შეტანა და როგორც ქალაქის მოსახლეობასთან შეხვედრის შედეგად გადაწყდა - საერთო სარგებლობის საძოვრის ტერიტორიაზე მდებარე საქონლის დასარწყულებელი წყაროს მილის რეაბილიტაცია.

საძოვრების საკითხით დაინტერესდა არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაცია ,,Mercy Corps“, მან პროექტში ჩართვის და დაფინანსებაში თანამონაწილეობის სურვილი გამოხატა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან 29 მაისს გამართულ შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა. შეხვედრაზე გაირკვა,რომ ამორტიზირებული მილის შეცვლის გარდა, წყლის დებეტის გასაზრდელად საჭირო იყო ნიკორციხის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, შეხვედრაზეც სწორედ ამასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები იქცა განხილვის ძირითად თემად. ამ საკითხთან დაკავშირებულ დისკუსიაში მონაწილეობდნენ: ზაზა ფიროსმანაშვილი-მუნიციპალიტეტის თავმჯდომრის მოადგილე, ილია კვანჭილაშვილი-მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი, ელიზბარ იმერლიშვილი-საქართველოს პარლამენტის დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი,ანა ბენაშვილი-მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი,რეზო გეთიაშვილი - პროექტის ხელმძღვანელი, CENN-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი , კობა ალუღიშვილი - ,,Mercy corps”-ის წარმომადგენელი, ჯემალ ყოჩიაშვილი - ქალაქის მოსახლეობის და ბიძინა პოპიაშვილი-სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები . შეხვედრის ბოლოს შეთანხმდნენ,რომ ,თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ყველა გაარკვევდა ბუნდოვან საკითხებს და მომავალი შეხვედრისთვის უკვე კონკრეტულად ჩამოყალიბდებოდნენ საჭირო თანხებსა და საქმიანობებზე.

იმავე დღეს პროექტის ექსპერტმა იოსებ სარჯველაძემ,თავის კოლეგასთან ჯემალ ჯინჭარაძესთან ერთად, საცდელ ნაკვეთზე ჩაატარა სხვადასხვა სამუშაოები, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები: თორღვა ცისკარაული, გიორგი ქადაგიძე,გელა ქოქიაშვილი და ნიკა ჭინჭარაული.

ამ დღეებში მოხდება აზოტოვანი სასუქის შეტანა 25 ჰექტარ საძოვარზე

ძაღლის უფლების მიღმა

(პირველი გვერდიდან)

ჩვენ დავინტერესდით, მომატებულია თუ არა დაკბენილი მოსახლეობის მედიკოსებთან მიმართვიანობის რიცხვი, ფლობს თუ არა რაიონი ანტირაბიულ ვაქცინას და რა ღირს ვაქცინაცია?

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით, წელს დაკბენილ-დადორბლილ-დალაწრული მოსახლეობის მომართვიანობა წინა წელთან შედარებით საგრძნობლად მომატებულია. კერძოდ, ***„თუ შარშან ამ დროისთვის მხოლოდ 98-მა დადორბლილ-დაკაწრულმა ადამიანმა მიმართა სამედიცინო დაწესებულებას, წელს უკვე 178 მოქალაქეა აღრიცხული. ჩვენი რაიონი ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინას ფლობს,რომელსაც ის უსასყიდლოდ გადასცემს საავადმყოფოს. ვაქცინაციის ფასს კი საავადმყოფო თვითონ განსაზღვრავს შიდა სტანდარტის შესაბამისად“*** - აცხადებენ დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში.

ჩვენი ინფორმაციით, 5-ჯერადი აცრა, ანუ ვაქცინაციის ერთი კურსი 36 ლარი ღირს. მისი ფასი წინა წლებში არსებულ ფასთან შეფარდებით შემცირებულია, თუმცა მოსახლეობის გაჭირვებული ნაწილისთვის მისი გადახდაც შეუძლებელია.

„ჩვენს ოჯახში არავინ მუშაობს. ამიტომ 36 ლარის წამალში, ან თუნდაც აცრაში გადახდა ფუფუნებაა. თუმცა, თუ საფრთხე სიცოცხლეს დაემუქრება, ვისესხებ და გადავიხდი, აბა, რას ვიზამ“ - აცხადებს ქალბატონი ნინო.

უპატრონოდ დარჩენილი ცხოველების უფლებადამცველები მკაცრად ეწინააღმდეგებიან იმ მეთოდებს, რომლებითაც მრავალი წლის მანძილზე ხდებოდა მაწანწალა ძაღლების პრობლემის მოგვარება. ისინი ამბობენ, რომ ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის სიცოცხლის ხელყოფა დანაშაულია და ევროპაში აპრობირებულ მეთოდებზე ამახვილებენ არა მარტო ხელისუფლების, არამედ საზოგადოების ყურადღებასაც.

- გვესმის, რომ ძაღლების ლიკვიდაცია დანაშაულია, ისიც გვესმის, რომ მათთვის ვოლიერების მოწყობა ან დაძინების მეთოდით მათი გაუვნებელყოფა ბევრად ჰუმანურია, მაგრამ ნუთუ ადამიანის სიცოცხლე და უსაფრთხოება ყველა მეთოდსა თუ კანონზე მაღლა არ დგას? - ამ კითხვის ავტორიც საზოგადოებაა, რომელსაც ნაკლებად აინტერესებს შიდა სამზარეულოც და ამ პროცესებში დამნაშავის ძიებაც.

ადგილობრივი ხელისუფლების განმარტებით, უსახურავო ნაგვის ბუნკერებს უახლოეს მომავალში სახურავიანი ნაგვის ურნები ჩაანაცვლებს შესაბამისი ნაგავმზიდი ავტომანქანებით. წინასწარი გათვლებით, ეს ცვლილება მაწანწალა ძაღლების რაოდენობას საგრძნობლად შეამცირებს და პრობლემის მოგვარებაშიც დადებით როლს ითამაშებს. საქმე ისაა, რომ მაწანწალა ძაღლები სწრაფი ადაპტაციის უნარით გამოირჩევიან. ადრე ისინი მიწაზე დაყრილ ნაგავს ქექავდნენ. შემდეგ გაჩნდა ბუნკერები და ნაგავი მათთვის დროებით მიუწვდომელი გახდა - ადაპტაციამდე. ვნახოთ, რას მოიმოქმედებს ძაღლის ადაპტირებული ისტიქტი...

ინგა შიოლაშვილი
მიხეილ მღებრიშვილი

ნუ შეგეშინდებათ, დალიეთ წყალი ონკანიდან!

სამდღიანი ტაიმ-აუტი აიღო კახეთის გაერთიანებული წყალმომარაგების სამმართველოს დედოფლისწყაროს განყოფილებამ ცენტრალური რეზერვუარის გეგმიური გაწმენდითი სამუშაოების ჩასატარებლად. ამის შესახებ მოსახლეობა წინასწარ გააფრთხილეს, რათა წყლის მარაგი აეღოთ. დღეს 8 ივნისია და მესამე დღეც მიილია. ხვალიდან წყალი ყველა უბანს მიეწოდება. ამ დილით ხალხში გავრცელდა ინფორმაცია, წყალი კი მოვა, მაგრამ დასალევად არ ივარგებს, ჯერ ერთი, რეზერვუარი ძალიან ჭუჭყიანია და მეორეც, შიგ ძროხა ჩავარდნილა ხბოსთან ერთადო. ამის თაობაზე რედაქციაშიც არაერთი ზარი განხორციელდა. ჩვენ ოპერატიულად დავათვალიერეთ როგორც რეზერვუარი, ასევე მიმდებარე ტერიტორია და საქლორატორო. გვინდა დარწმუნებით გითხრათ, რომ ინფორმაცია ძროხის ჩავარდნის თაობაზე აბსურდულია, რადგან რეზერვუარის მიმდებარე ტერიტორია სრულად არის შემოღობილი. ნახევარი მეტრი სიმაღლის ბეტონში ჩამონტაჟებული მეტრანახევრიანი მავთულბადით, რომელიც არსად არ არის გარღვეული ან გადანგრეული. ეს სამუშაო, თავის დროზე, საკმაოდ კაპიტალურად და ხარისხიანად არის შესრულებული. მას მხოლოდ ერთი შესასვლელი ჭიშკარი აქვს, რომელიც დაკეტილია და მორიგეს გარდა არავის შეუძლია მისი გაღება. მორიგე კი, ცვლების რეჟიმში, სისტემატურად იმყოფება ადგილზე. რეზერვუარში ჩასასვლელი სარქველის დიამეტრიც დაახლოებით 80 სანტიმეტრია. მიწის პირიდანაც 60-70 სანტიმეტრის სიმაღლის ბეტონის ცოკოლი მჭიდროდ იხურება რკინის სარქველით, რომელიც ბოქლომით იკეტება. ასე რომ, ფიზიკურად ყოვლად შეუძლებელია, რაიმე ცხოველი მოხვდეს რეზერვუარის ტერიტორიაზე და, მით უმეტეს, ჩავარდეს რეზერვუარში.



შესრულებულ სამუშაოებსა და წყლის ხარისხზე **კახეთის გაერთიანებული წყალმომარაგების სამმართველოს დედოფლისწყაროს მენეჯერს** ლევან მჭედლიშვილს **ვესაუბრეთ:**

- ამ სამ დღეში ადგილობრივი ძალებით გავწმინდეთ და გავასუფთავეთ რეზერვუარი, დავქლორეთ სადეზინფექციო ნორმით და ხვალიდან მომხმარებელს სრულიად სუფთა და ხარისხიანი წყალი მიეწოდება. ჩვენ გვაქვს ადგილობრივი ლაბორატორია და ყოველდღიურად ვამოწმებთ წყლის ბაქტეროლოგიურ და შემადგენლობით ხარისხს. ასევე, კვირაში ერთხელ ვაგზავნით ანალიზს რეგიონის ლაბორატორიაში. წყლის სისუფთავეს იცავს შემავალი და გამავალი ფილტრები. ამასთან,იქლორება რეგულარულად ნორმის ფარგლებში. ზემდგომიდანაც ყველა პირობა გვაქვს შექმნილი იმისათვის, რომ ყველაფერი ნორმის ფარგლებში იყოს. ასე რომ, ხალხს შეუძლია, თამამად დალიოს წყალი. ის ყოველმხრივ საიმედოა. რაც შეეხება გავრცელებულ სხვადასხვა ვერსიებს, აბსოლუტური ჭორებია. ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიჯეროს, რომ მას მიეწოდება ხარისხიანი წყალი, მთელ პასუხისმგებლობას ვიღებთ ჩვენს თავზე”, – აცხადებს ლევან მჭედლიშვილი.

ასე, რომ, ნუ შეგეშინდებათ, დედოფლისწყაროელებო, დალიეთ წყალი პირდაპირ ონკანიდან!

ნაირა გორაშვილი

წარმატებული პროექტი - საუკეთესო შედეგები

ეს პროექტი - „საერთაშორისო შემოქმედებითი წერის შეჯიბრი ინგლისურ ენაში“, ჯერ კიდევ 2003 წელს დაიწყო და მხოლოდ კავკასიას მოიცავდა. ახლა მასში უკვე 20 ქვეყანაა ჩართული. აქვს პერსპექტივა და იმედია, მომავალ წელს უფრო ფართო მასშტაბებს მოიცავს. პროექტს აფინანსებს ამერიკის საელჩო საქართველოში, მაგრამ ორგანიზებას უკეთებს ამერიკის სამთავრობო ორგანიზაცია “მშვიდობის კორპუსი”, რომელიც არ უკავშირდება არც რელიგიას და არც პოლიტიკას. ის დააარსა ჯონ კენედიმ. პროგრამის მუშაობის სტრუქტურა ასეთია: “მშვიდობის კორპუსი” აგზავნის შეტყობინებებს მოხალისეებისათვის. შემდეგ მას ეხმაურებიან მოხალისეები და ასე იწყებს მუშაობას პროგრამა. მიმდინარე წელს ასეთი შეტყობინება მიიღო ქ.დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მოხალისე პედაგოგმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჯეკ ბრენდსმა. პროგრამაში ჩართვა შეეძლო VII - დან XII კლასების მოსწავლეებს. შეტყობინებაში თითოეული კლასისთვის ცალკ-ცალკე იყო მითითებული ორ-ორი სამუშაო თემის ზოგადი დასათაურება. სკოლაში ორმოცმა ბავშვმა გამოთქვა სურვილი ჩართულიყო ამ პროგრამაში. მთელი ქვეყნის მასშტაბით კი 800 ბავშვმა მოიყარა თავი. მოსწავლეებმა თემები აირჩიეს და ნამუშევრები წარადგინეს. ეს ნამუშევრები თბილისში, ცენტრალურ ოფისში წაიკითხეს და შეასფასეს საქართველოს სკოლებში მომუშავე ინგლისური ენის მოხალისე პედაგოგებმა, მაგრამ მათ არ ჰქონიათ უფლება, შეემოწმებინათ თავისი სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები. ამით დაცული იყო მიკერძოების საშიშროება და არაობიექტურობა. გამარჯვებულები ჯერ რეგიონის მიხედვით გამოვლინდნენ. რეგიონში №1 საჯარო სკოლას 6 I, II, და III ადგილზე გასული მოსწავლე ჰყავდა. თბილისის ტურში კი, ქვეყნის მასშტაბით, ორმა მოსწავლემ XI-ა კლასიდან (კლასის ხელმძღვანელი ჯულიეტა პოპიაშვილი) გიორგი ყოჩიაშვილმა და X-ბ კლასიდან (კლასის ხელმძღვანელი ლალი აბაშიძე) გიორგი სამადაშვილმა გაიმარჯვა. X კლასელთათვის შეთავაზებული ორი თემიდან “გული, რომელიც არასოდეს შეწყვეტს ფეთქვას” და “ნივთი, რომლის გამოგონებაც არ ღირდა”, გიორგი სამადაშვილმა პირველი აირჩია. მან წარმოადგინა ერთი ახალგაზრდა კაცის კოსტას გული, მისი განცდები და ემოციები. გიორგი ყოჩიაშვილმა კი მათთვის შეთავაზებული თემებიდან – “ვისთვის გავწირავდი თავს” და “ ჩემი საყვარელი ადგილი”, მეორე თემა აირჩია და, რა გინდ გასაოცარიც არ უნდა იყოს მკითხველისათვის, ასეთ ადგილად “კუბოების მაღაზია” დაასახელა.

– ეს ჩემი წარმოსახვის, ფანტაზიის ნაყოფი იყო, რადგან არასოდეს მინახავს ასეთი მაღაზია, - ამბობს გიორგი.

ორივე ნამუშევარი სიახლის შემცველი, ორიგინალური და განსხვავებული ხედვით იყო წარმოდგენილი, რამაც მათ I ადგილი მოუტანა . მისასალმებელი და საამაყოა, რომ ქვეყნის მასშტაბით გამარჯვებულ 7 მოსწავლეს შორის ორი მხოლოდ №1 საჯარო სკოლიდან იყო. წარმატებულად ჩატარებული პროექტის აღსანიშნავად ამერიკის საელჩომ საქართველოში გამარჯვებული მოსწავლეები თავისთან მიიწვია. ბავშვებს საკუთარ სახლში ელჩის მოადგილემ ბრიჯიტ ბრინკმა უმასპინძლა. მათ სერთიფიკატებთან ერთად გადაეცათ წიგნები და სპეციალური ბროშურები, რომელშიც პირველ ადგილზე გასული შვიდივე ნამუშევარი არის დაბეჭდილი. ამ წიგნებს ისინი სკოლის უცხო

ენის კაბინეტის ბიბლიოთეკას გადასცემენ სამახსოვროდ. გამარჯვებულ მოსწავლეებს უფლება ჰქონდათ, ერთი სტუმარი ეახლებინათ ამ წვეულებაზე. გიორგი სამადაშვილმა თავისი და მარიამ სამადაშვილი, ხოლო გიორგი ყოჩიაშვილმა თანაკლასელი გიორგი აგლაძე წაიყვანეს. მათ არჩევანი მათზე იმიტომ, გააკეთეს რომ მარიამიც და გიორგიც საუკეთესო მოსწავლეები არიან და ინგლისურ ენას კარგად ფლობენ. ამდენად, მათ მასპინძლებთან კონტაქტი არ გაუჭირდებოდათ. შეხვედრაზე დედოფლისწყაროელი ბავშვები სხვებისგან ნამდვილად გამოირჩეოდნენ აქტიურობით, კონტაქტურობით, ხალისით და ერუდირებულობით, როგორც საელჩოს და ”მშვიდობის კორპუსის“ თანამშრომლებთან, ასევე მოხალისე პედაგოგებთან და თვით ბავშვებთან მიმართებაში.

– ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ ამ წარმატებით. როცა ნინო მასწავლებელმა მომწერა გაიმარჯვეთო, კომპიუტერთან ვიჯექი და ისეთი ემოციები დამეუფლა, პასუხი ვერ დავუბრუნე. ისევ თავად შემეხმიანა, რა გჭირს, ხომ კარგად ხარო – გვიყვება გიორგი სამადაშვილი.

– ამ პროექტმა და ელჩის მოადგილესთან სტუმრობამ ბევრი რამ შეგვძინა. პირველ რიგში თავდაჯერებულობა. დადებითი ემოციებით დავიმუხტეთ, ღირსების გრძნობა გაგვიმძაფრდა. ამაყები ვიყავით, რადგან არც ერთ სკოლას ორი წარმომადგენელი არ ჰყავდა ჩვენს გარდა. ამ ყველაფერს კი ჩვენს პედაგოგს ნინო ფოროსმანაშვილს და მოხალისე პედაგოგს ჯეკ ბრენდსს ვუმადლით– ამბობს გიორგი ყოჩიაშვილი. ორივე გიორგი სამომავლო გეგმებზეც საუბრობენ. ორივე საუკეთესო მოსწავლეა და მგლის კანდიდატებად ითვლებიან. გამოირჩევიან არა მარტო კარგი სწავლით, არამედ აქტიური ცხოვრების წესით. ჩგიორგი სამადაშვილი ბავშობიდან ცეკვავს და ქორეოგრაფიულ ანსამბლ “იმედის” სოლისტია. გიორგი ყოჩიაშვილი სულ ახლახანს საქართველოს ბავშვთა ფედერაციის და საერთაშორისო ორგანიზაცია “ვოლდ ვიჟენის” ორგანიზაციებით მოწყობილ განმანათლებლების ტრენინგზე იყო მიწვეულიქალაქ თელავში. მან იქ წარადგინა თავისი სოციოლოგიური კვლევა - “პრობლემები, რაც აწუხებთ მოსწავლეებს” და სერთიფიკატიც დაიმსახურა. ორივე გიორგი სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრია და აქტიურად მონაწილეობს ყველა ღონისძიებაში.

– ისინი საუკეთესო მოსწავლეები არიან, მაგრამ ამ პროექტის მერე უფრო აშკარად დაეტყოთ, რომ მეტი ინტერესი გაუჩნდათ სწავლის და საზოგადოებრივი საქმის მიმართ, – ამბობს მათი ინგლისური ენის პედაგოგი ნინო ფოროსმანაშვილი, რომელიც მოხალისე პედაგოგ ჯეკ ბრენდსთან ერთად გვერდში ედგა ბავშვებს პროგრამაზე მუშაობის დროს. ორივე პედაგოგი თან ახლდა მოსწავლეებს საელჩოში მიღებაზეც. ჯეკი სექტემბრიდან მუშაობს ამ სკოლაში. თავადაც კმაყოფილია და სკოლის ადმინისტრაციაც და ბავშვებიც მასთან ურთიერთობით.

– ბავშვებმა უკეთ იციან ინგლისური, მე კი ცოტა-ცოტა ქართულს დავეუფლე, მიხარია, რომ აქ ვარ. ამ პროექტს მომავალ - 2013 წელს მე და ერთი ჩემი კოლეგა ვუხელმძღვანელებთ. ასე რომ, ეს პროექტი ყოველწლიურად ახლდება. მომავალ წელს ახლა სხვა ბავშვებს მივცემთ საშუალებას, გამოავლინონ თავიანთი უნარი და შესაძლებლობები. მე ბედნიერი ვარ მათი სიხარულის გამო –ამბობს ჯეკ ბრენდსი.

ნინო ფოროსმანაშვილი რომ წარმატებული პედაგოგია და თავისი საგნის საუკეთესო მცოდნე, ამას ყველა აღიარებს, სკოლის ადმინისტრაციაც, კოლეგებიც, ბავშვებიც. შედეგებიც სახეზეა.

– სწორედ გუშინ გახდა ცნობილი, რომ, ნინომ წარმატებით ჩააბარა ინტეგრირებული გამოცდები და იმ 25%-ში მოხვდა, ვისაც ყველაზე მაღალი ქულები აქვთ. ასე რომ ნინო მესამე ათასლარიანი პედაგოგი იქნება ჩვენს სკოლაში. 1000-1000 ლარი ხელფასი აქვთ უკვე გასული წლიდან მის დას, ასევე ინგლისური ენის სპეციალისტს თინათინ ფოროსმანაშვილს და ჩემს მოადგილეს, რუსული ენის სპეციალისტს ნატალია ვარდიშვილს. ასე რომ, ჩვენ საკმაოდ ძლერი უცხო ენის კათედრა გვაქვს,– სიამაყით ამბობს სკოლის დირექტორი მაია ლაპიაშვილი.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ნინო ფოროსმასნაშვილი ის ლამაზმანი გოგონაა, რომელმაც 1996 და 1998 წლებში „მისდედოფლისწყაროს“ ტიტული მოიპოვა და სილამაზის დედოფლის გვირგვინი თავზე დაიდგა. ის არა მარტო მშვენიერი იყო, არამედ სულ მუდამ წარმატებულიც. საუკეთესოდ დაამთავრა №1 საშუალო სკოლა 2000 წელს. პირველსავე ცდაზე ჩაირიცხა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე ინგლისური ენის განხრით. 2004 წელს დაამთავრა ბაკალავრიატი, 2007 წელს კი – მაგისტრატურა. ორი წელი შემცვლელ მასწავლებლად ირიცხებოდა თავის მშობლიურ სკოლაში, შემდეგ საათებიც გამოჩნდა და წარმატებებიც მოვიდა: მან საუკეთესო შედეგები აჩვენა სასერთიფიკაციო და ინტეგრირებულ გამოცდებზე. ახლა მისი თვიური ხელფასი 1000 ლარია. კარგი სპეციალისტი, კარგი ადამიანი და ორი მშვენიერი ვაჟის – დაჩი და თაზო ალულიშვილების დედაა. იმედია, საუკეთესო შვილებს გაუზრდის ჩვენს ქვეყანას.

წარმატებები ვუსურვოთ ნინო მასწავლებელსაც და მის მოსწავლეებსაც.

ნაირა გორაშვილი

ახალგაზრდა ინტელექტუალები პირველობისათვის იბრძოლებენ

საქართველოს განათლერბის და სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროების ერთობლივი ორგანიზაციებით ტარდება ინტელექტუალური თამაშის “რა? სად? როდის?” საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩემპიონატი. შეხვედრა გაიმართება 9 ივნისს, თბილისში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტიტეტის სააქტო დარბაზში. ამ ფინალურ შეჯიბრში მონაწილეობას ქვეყნის 69 ახალგაზრდული გუნდი მიიღებს. მათ შორის იქნება ქ.დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის გუნდიც, რომელმაც წარმატებით გაიარა ადგილობრივი, მუნიციპალიტეტის შესარჩევი ტური და პირველი ადგილი მოიპოვა. ეს ტური მაისში ჩატარდა.მასში მუნიციპალიტეტის სკოლების 14 გუნდი მონაწილეობდა. ორ ეტაპად ჩატარებულ ტურში სულ 24 კითხვა იყო დასმული, რომლისთვისაც ყველა გუნდს უნდა ეპასუხა და სწორი პასუხის შემთხვევაში დაითვლებოდა ქულები. ყველაზე მაღალი ქულა - 24-დან 17, მოაგროვა №1 საჯარო სკოლამ. კითხვები შედგენილი იყო სატალევიზიო კლუბ „რა? სად? როდის?”-ის წამყვანის, ცნობილი მოაზროვნის გიორგი მოსიძის მიერ და მოითხოვა მონაწილეთაგან ლოგიკურ აზროვნებას და არა იმ საგნების, რომელსაც ისინი სასკოლო პროგრამით გადიან. №1 საჯარო სკოლის გუნდი, რომელიც ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას ექვსი ძირითადი წევრისაგან შედგება. ესენი არიან: ილია ვარდიშვილი (IX-ა კლასი), ლევან ჩუთლაშვილი (X-ა კლასი) პაატა კიკილაშვილი, სოსო ჩუთლაშვილი, გიორგი ყოჩიაშვილი და გიორგი აგლაძე (XI-ა კლასიდან) სარეზერვო მონაწილეები კი IX-ბ კლასელი ქეთი ჩაფიაშვილი და XI-ა კლასელი ქეთი სეფიაშვილი არიან. გუნდის კაპიტანი პაატა კიკილაშვილია.

ინტელექტუალური თამაში “რა? სად? როდის?” №1 საჯარო სკოლაში ოდნავ ინტერპრეტირებულად “ვინ? სად? როდის?” მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს.მას ორი მიმართულება აქვს სპორტული და კლუბური. სპორტიულის შედეგებს წლის ბოლოს შეაჯამებენ და გამარჯვებულებსაც გამოავლენენ. კლუბური კი ჩვეულებრივ ოთხ სერიად — გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომის და ზამთრის სერიებად ტარდება. სპორტულ კლუბში 92 ბავშვია გაერთიანებული, კლუბურში — 48. მათ მუშაობას კურიერებს სკოლის დირექტორის მოადგილე კახა კოტაშვილი.

8 ივნისს გუნდი თბილისში ჩემპიონატში მონაწილეობისათვის თავდაჯერებული მიდის, მათ გამარჯვების იმედი აქვთ, რადგან მათი შედეგი–24 შეკითხვიდან 17 სწორი პასუხი, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მათ ტრანსპორტირებას და ორგანიზაციულ საკითხებს რაიონის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს, კერძოდ, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თავჯდომარე ირაკლი ხოსროშვილი.

წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს ახალგაზრდებს.

ნაირა გორაშვილი

თვითმკვლელობა

თვითმკვლელობა – საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა. თვითმკვლელობა შეიძლება გამოწვეული იყოს ბევრი მიზეზით, მათ შორის ყველაზე ხშირია დეპრესია, სირცხვილი, დანაშაულის განცდა, გაუსაძლისი ფიზიკური ტკივილი, ემოციური გადატვირთვა, აღელვება, ფინანსური პრობლემები და ა. შ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით ყოველწლიურად ერთ მილიონზე მეტი ადამიანი იკლავს თავს, და სიკვდილიანობის ყველაზე დიდი წილი მოზარდებსადა 35 წელს ქვევით ახალგაზრდებში, თვითმკვლელობაზე მოდის. დაახლოებით 10-20 მილიონი შემთხვევა კი, არასასიკვდილო შედეგით მთავრდება.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ბოლო პერიოდში საგანგაშოდ იმატა სუიციდის შემთხვევებმა. ამ რამდენიმე ხნის წინ მთელმა ქვეყანამ იხილა სიუჟეტი, სიყვარულში ხელმოცარული ახალგაზრდა როგორ ცდილობდა თვითმკვლელობას. საბედნიეროდ, ეს შემთხვევა მსხვერპლის გარეშე დასრულდა. მაგრამ ყველა მოზარდსა თუ სხვა პრობლემის წინაშე მდგარ ადამიანს როდი უღიმის ბედი ასე. თუმცა, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, არსებობენ სუიციდისადმი მიდრეკილი ადამიანები, რომლებმაც შეიძლება ნებისმიერ სიტუაციაში გაიმეორონ თვითმკვლელობის მცდელობა.

სოციოლოგები და ფსიგოლოგები ყურადღებას ამახვილებენ ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად თვითმკვლელობათა კოეფიციენტის ზრდაზე.

სუიციდის არსი და მოკლე ისტორიული მიმოხილვა

რთული სათქმელია, თუ როდის გამოიკვეთა პირველად სუიციდის პრობლემა, შეიძლება ითქვას, რომ იგი კაცობრიობის გაჩენიდან მოყოლებული არსებობს, თუმცა, როგორც ზოგიერთ მასალაშია აღნიშნული, პირველი თვითმკვლელობის ცნობა გვხვდება ეგვიპტურ ლექსებში, რომელიც დაწერილია დაახლოებით 4000 წლის წინ. იქ გამოთქმულია აზრი, თუ როგორ დაღალა ადამიანი ცხოვრებამ და როგორ უნდა სიკვდილი.

ძველად, თვითმკვლელობა სურვილის და ნების გამოხატვის თავისუფლებაზე მეტად, ვალდებულება იყო, რომელსაც ადამიანებს ტრადიციები კარნახობდა. ბევრ პირველყოფილ ტომში თავს იკლავდნენ იმიტომ, რომ კვდებოდა მათი ბელადი. ასევე თვითმკვლელობის ტრადიციული მომენტია, მაგალითად, ხარაკირი იაპონიაში, ეს სიმამაცის და ვაჟკაცობის ერთგვარი გამოხატულება იყო. ინდოეთში, ქვრივი თავს იწვავდა თავისი მეუღლის გვამთან ერთად, ამ ქმედებით ის იცავდა თავის ღირსებას და საკუთარ თავს, რომ შემდეგში არ გამხდარიყო რაიმე სახის ძალადობის მსხვერპლი. სატის ტრადიციის აღმოსაფხვრელად კანონმდებელმა შემოიღო სასჯელი თვითმკვლელობის მცდელობისათვის, რაც ითვალისწინებს 1 წლამდე ვადით პატიმრობას ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, ჯარიმის გადახდის სახით, თუმცა საბოლოოდ ვერ იქნა მიღწეული შედეგი. დღესაც გვევლინება ფაქტები, როდესაც ქვრივები ჩუმად, მაგრამ მაინც იწვავენ თავს გარდაცვლილ მეუღლეებთან ერთად.

პარადოქსია და, რიგ ევროპულ ქვეყნებში თვითმკვლელობის მცდელობა ისჯებოდა სიკვდილით. მაგალითად, აღნიშნული სასჯელი, მე-19 საუკუნემდე მოქმედებდა ინგლისში. თუმცა, აქ საინტერესოა რა მიზანი ამოძრავებდა სახელმწიფოს და რა იყო მისი დაცვის ობიექტი, რა იდეას ხედავდა ამგვარ სასჯელში.

საინტერესოა, რომ სუიციდი გარკვეულ ვითარებასა და სიტუაციაში ძველადაც და დღეს-დღეობითაც გმირობის ტოლფასად ითვლებოდა. სუიციდის მიზეზი უამრავი რამ შეიძლება იყოს, მსოფლიოში მრავალი ფაქტი მოწმობს სუიციდის შემთხვევებს, არაერთი ისტორიულ პირს დაუსრულებია სიცოცხლე თვითმკვლელობით (ჰიტლერი, სტალინის მეუღლე, გალაქტიონი, ჰემანგუეი), აგრეთვე არა ერთი ცნობილი ლიტერატურული ნაწარმობის გმირია სუიციდის მსხვერპლი. ეს ფაქტები მხოლოდ იმის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ, რომ სუიციდი ნებისმიერი საზოგადოების, ეპოქისა თუ ფორმაციის პრობლემას წარმოადგენდა. ამიტომ დასკვნის გაკეთება საკმაოდ მარტივია, რომ სუიციდი მხოლოდ თანამედროვე სამყაროს პრობლემას არ წარმოადგენს, ის დასაბამიდან იყო ადამის მოდგმის პრობლემა.

სუიციდის სტატისტიკური მაჩვენებელი

დღითიდღე იმატებს თვითმკვლელობების სტატისტიკური მაჩვენებელი მთელს მსოფლიოში, ერთადერთი რაც იკლებს, ეს სუიციდიანტების ასაკია.

სუიციდის გამოვლენილ ფაქტებთან დაკავშირებით, მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე შემაშფოთებელი სტატისტიკა იაპონიაშია, სადაც თვითმკვლელობას, იაპონურ ეპიდემიად მოიხსენიებენ. ოფიციალური მონაცემებით ბოლო 11 წლის მანძილზე მთლიანად იაპონიაში ყოველ 15 წუთის ინტერვალით ხდებოდა თვითმკვლელობები. ეს სტატისტიკა, რომ შევადაროთ მცირე რიცხოვან ერს, შეიძლება ამ 11 წლის მანძილზე ასეთი ერი საერთოდ გამქრალი ყოფილიყო. იაპონიის პოლიციის ანგარიშით ყოველ წლიურად 30000 — მდე იაპონელი იკლავს თავს. ყველაზე მეტი თვითმკვლელობა კი 2008 წელს დაფიქსირდა, ამ წელს 32 ათასმა იაპონელმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამხელა ციფრი უკავშირდება სერიოზულ სოციალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს. ოჯახური პრობლემები, ჯანმრთელობის პრობლემა, ვალები და ასე შემდეგ— ეს ყველაფერი სასიკვდილო ზეგავლენას ახდენს იაპონელებზე.

2009 წელს 40% — მა იაპონელმა თავი მოიკლა სამსახურის დაკარგვის, ხოლო 20% — მა სამსახურის ვერ პოვნის მიზეზით. უფრო მეტად ჭარბობენ მამაკაცები, რომლებიც 50 წელს არიან გადაცილებულები.

საქართველოშიც სუიციდის პრობლემა ერთ-ერთი აქტუალური თემაა. რეალობა ძალიან მძიმეა და შემთხვევათა რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდება. ზოგადად მიიჩნევა, რომ საქართველოში სუიციდთან დაკავშირებული სწორი სტატისტიკა არ არსებობს, ამას ფსიქიატები იმით ხსნიან, რომ საზოგადოებაში გარკვეული სტიგმა და ტაბუ არსებობს ამ საკითხებთან მიმართებაში და ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, რომ დამალონ შემთხვევები, როცა მათი ახლობლები თუ ოჯახის წევრები სიცოცხლეს თვითმკვლელეობით ასრულებენ.ამის უამრავი მოტივი აქვთ-ეს იქნება გამოძიება თუ რელიგიური ფაქტორი.

თუმცა, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ რეალური სტატისტიკა არ მოიპოვება. მართალია, არსებობს ოფიციალური მონაცემები სუიციდთან დაკავშირებით, მაგრამ არასრული, რადგან უამრავი ფაქტი არ ფიქსირდება. ამ ფონზე კი შემდეგი სტატისტიკა გვაქვს: 2010 წელში საქართველოში 292 თვითმკვლელეობის შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან თვითმკვლელობას უმეტეს შემთხვევაში 44 წელს გადაცილებული მამაკაცები ჩადიან, თუმცა აღრიცხულია რამოდენიმე ათეული შემთხვევა, რომელიც სიცოცხლე თვითმკვლელობით 16-დან 25 წლამდე ასაკის ახლგაზრდებმა დაასრულეს. აქაც მსხვერპლის მეტი ნაწილი მამაკაცია. უფრო ზუსტად კი, 161 თვითმკვლელთაგან 134 მამაკაცია, 27 კი ქალი. ხოლო, რაც შეეხება თვითმკვლელობის უშედეგო მცდელობის 593 შემთხვევა გამოვლინდა. ამათგან 375 მამაკაცია, ხოლო 218 ქალი. უკანასკნელი 18 წლის სტატისტიკური მონაცემებით, 1990 წლიდან 2008 წლის ჩათვლით საქართველოში 5300-მა ადამიანმა მოიკლა თავი. უნდა ითქვას, რომ ისეთი მცირე რიცხოვანი ერისთვის, როგორიც საქართველოა, ეს ნამდვილად შემაშფოთებელი ციფრია.

მოვიყვანთ რამოდენიმე ფაქტს: 2009 წლის თებერვალში 15 წლის ნათია შერმადინი გადახტა მტკვარში, სულ რაღაც 2 თვის შემდეგ 12 წლის ლაურა მაილიანმა ჩამოიხრჩო თავი, ამას მოყვა 15 და 19 წლის ვაჟების თვითმკვლელობის ფაქტი. ერთმა ცეცხლსასროლი იარაღით მოისწრაფა სიცოცხლე, ხოლო მეორემ სახლში ჩამოიხრჩო თავი.

მაგალითად საფრანგეთში, 100 ათას ადამიანზე 26 თვითმკველობა ფიქსირდება, მათგან მხოლოდ 9 არის ქალი, დანარჩენი კი მამაკაცი. ამ სტატისტიკიდან იმაზეც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, რომ სუიციდს მამაკაცები უფრო ხშირად სჩადიან, ვიდრე ქალები.

თუ ასაკობრივად დავყობთ სტატისტიკას, არასრულწლოვანთა თვითმკვლელობა არის მხოლოდ 3% საერთო რაოდენობის , ხოლო ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის 50 — წელს გადაცილებულთა შორის, რაც შეადგენს 20% , შემდეგ 60 წელს გადაცილებულები 18% და 40 წელს გადაცილებულ იაპონელებში 15%.

სუიციდის ფსიქო – სოციალური ასპექტები

დავიწყოთ იქედან, რომ სუიციდზე, როგორც კაცობრიობის და მსოფლიოს გლობალურ პრობლემაზე არაერთი ფსიქოლოგი თუ სოციოლოგი მუშაობს და ატარებს კვლევებს, ამათგან აღსანიშნავია ფრანგი სოციოლოგის — ემილ დიურკემის მიერ შემუშავებული სუიციდის ტიპები, ესენია:

1. ეგოისტური თვითმკვლელობა, რომელსაც მიეკუთვნება დეპრესიის, ადამიანური ურთიერთობებისა და სოციალური ფაქტორების გამო ჩადენილი სუიციდის ფაქტები.

2. ანომიური თვითმკვლელობა - ახასიათებს ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეულ სუიციდურ ფაქტებს;

3. ალტრუისტული თვითმკვლელობა - ამ შემთხვევაში ადამიანი საკუთარ სიცოცხლეს ხელყოფს სხვაზე ორიენტირებულობის გამო. ეს მაშინ ხდება, როცა პიროვნება ისე აიგივებს თავს ვინმესთან, რომ მის გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენლად მიაჩნია. ძირითადად ალტრუისტულ თვითმკვლელობას სიყვარულით იმედგაცრუებულები მიმართავენ.

4. ფატალისტური თვითმკვლელობა - ადამიანი სიცოცხლეს ასრულებს საზოგადოებრივი დოგმებისა და სტერეოტიპების გასაპროტესტებლად.

გარდა ამისა, მკვლევარის აზრით, არსებობს ფარული სუიციდიც, რომელიც ხორციელდება ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მიღებით. მათი მიღება თვითდესტრუქციული ქცევაა, რომელიც პირდაპირ მიმართულია სიცოცხლის შემოკლებისკენ. ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მოხმარება იზრდება სოციალური პრობლემების პროპორციულად, როცა ადამიანი მათი მეშვეობით ცდილობს რეალობიდან გაქცევას, თუმცა, სინამდვილეში, მისდა უნებურად სიცოცხლეს გაურბის. ამ ნაწილში ჩვენ განსხვავებული შეხედულება გაგვაჩნია, როგორც ცნობილიოა არსებობს სუიციდი და სუიციდური ქცევა, ამ უკანასკნელთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ადამიანი სჩადის ისეთ ქმედებებს, რომელიც მიუთითებს, რომ ის დაუდევრად ეპყრობა თავის სიცოცხლეს და იგი, არც თუ ისე ფასეულია მისთვის. ნარკოტიკების მოხმარება, ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ სუიციდური ქცევაა, ისევე როგორც გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა, უყურადღებოდ ქუჩაზე გადასვლა და სხვა.

თვითმკვლელობა ხშირად არის დაკავშირებული მძიმე სოციალურ ფონთან, თუმცა არსებობს სხვა მიზეზებიც, რის გამოც ადამიანები საკუთარ სიცოცხლეს ხელყოფენ ესენია: სულიერი აშლილობა, როცა ადამიანი დაავადებული, გაუწონასწორებელია და ეს ორგანული დაზიანებიდან გამომდინარეობს. სტრესი - შესაძლოა, პირმა აფექტის შედეგად მიიღოს მსგავსი გადაწყვეტილება. დეპრესიული მდგომარეობა, როცა პირი თავისი არსებობის აზრს ვერ ხედავს, რამაც შესაძლებელია, თვითგანადგურების გადაწყვეტილებამდე მიიყვანოს - ამით გამოხატავს აგრესიას საკუთარი თავის მიმართ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ადამიანი თვითმკვლელობამდე მხოლოდ გარემო პირობებს არ მიჰყავს, არამედ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ არსებობს გენეტიკური სუიციდი, მკვლევარებმა გააანალიზეს დეპრესიის მქონე 394 პაციენტის გენომი, ამათგან 113 ეცადა ჩაედინა თვითმკვლელობა. მიღებული მონაცემები მათ შეადარეს 366 ჯანმრთელი მოხალისის მემკვიდრულ ინფორმაციას. ამას გარდა, ჩატარებული იქნა საკონტროლო კვლევა 744 გერმანელისა და 921 აფრო-ამერიკელის მონანილეობით, რომელთაგანაც სუიციდური ქმედების ჩადენის მცდელობა ქონდა, შესაბამისად, 152 და 119 ადამიანს.

კვლევის შედეგები ამტკიცებს სუიციდური ქმედების ფორმირებაში მემკვიდრეობითი ფაქტორების როლს. გენეტიკურია არა სუიციდი, არამედ დეპრესია, ხოლო ყოველი დეპრესია, რა თქმა უნდა, არ სრულდება სუიციდით. გენის დეპრესიისკენ მიდრეკილება ან ჩამოყალიბებული არსებობა შესაძლოა ფსიქიკური აშლილობით დასრულდეს და არა დავუშვათ თვითმკვლელობით.

უშუალოდ სოციალურ ასპექტებს რაც შეეხება, აქ შესაძლოა გამოვყოთ პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში, სოციალური და ეკონომიკური ფონი, ურთიერთობა საზოგადოებასთან, თვითდამკვიდრების პრობლემა, ოჯახური მდგომარეობა და სხვა. იმის ცოდნა, თუ რა სოციალური მოვლენა არის სუიციდის ხელშემწყობი ფაქტორი, დაგვეხმარება შემდგომში, მასთან ბრძოლაში.

ეკონომიკური წარუმატებლობა - ძალიან რთული გადასალახია, როგორც დაბალი, ასევე მაღალი ფენის წარმომადგენლებისათვის. თუმცა, ამ უკანასკნელთათვის გაცილებით რთული გადასატანია ეკონომიკური ვარდნა. ადამიანი, რომელიც მიჩვეულია ნორმალურ პირობებში ცხოვრებას, უჭირს გაჭირვებასთან ადაპტირება.

პროფესიული - ორეგონის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერები 11 წლის განმავლობაში იკვლევდნენ სუიციდს ამ კრიტერიუმის მიხედვით და დაადგინეს, რომ ექიმები და იურისტები, 3 ჯერ უფრო ხშირად იკლავენ თავს ვიდე სხვა პროფესიის ადამიანები და უბრალო კლერკები. იმედგაცრუების დროს, ისინი გაცილებით ხშირად ეწევიან სუიციდურ ქმედებას, ან ჩადიან სუიციდს.

სქესი - თვითმკვლელობის მცდელობა ქალებში 3-ჯერ უფრო ხშირია, მაგრამ დასრულებული სუიციდი რაოდენობრივად კაცებში ჭარბობს. რომ შევადაროდთ მამაკაცის და ქალის თვითმკვლელობის რაოდენობრივი თანაფარდობა, არის 4:1.

სუიციდისკენ მიდრეკილ ქალებს ყოველთვის აინტერესებს თუ რა მოუვა მათ სხეულს, განსხვავებით კაცებისაგან.

ასევე გვხვდება განსხვავება თვითმკვლელობის ჩადენის მეთოდებში, კაცები უპირატესობას ანიჭებენ თავის ჩამოხრჩობას, იარაღიდან გასროლას, ან სიმაღლიდან გადახტომას. ქალები კი ყოველთვის შედარებით პასიურ საშუალებებს ანიჭებენ უპირატესობას, მაგალითად საძილე საშუალებები, საწამლავები, გაზი და მსგავსი სხვა მეთოდები.

რაც შეეხება განსხვავებას მოტივაციაში, ქალების თვითმკვლელობა ეს არის ადეკვატური პასუხი რომანტიკულ თუ ოჯახურ წარუმატებლობაზე. მამაკაცების თვითმკვლელობა კი არის პასუხი, სამსახურეობრივ, სოციალურ, ეკონომიკურ, ფინანსურ, სამართლებრივ და ა.შ. პრობლემებზე. ცოტა არ იყოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ძლიერი სქესი ვერ უძლებს ძლიერ პრობლემებს, ხოლო სუსტი სქესი სუსტ პრობლემებს.

ოჯახური მდგომარეობა - როგორც კვლევები აჩვენებს, 20-დან 24 წლამდე ასაკის დაოჯახებულ ახალგაზრდებში თვითმკვლელობის ფაქტი უფრო ხშირია, ვიდრე დაუოჯახებელ თანატოლებში. უფრო უარესი სიტუაციაა ამ მხრივ 20 წლამდე დაოჯახებულ ახალგაზრდებში. რეალურად ამ სეგმენტისთვის, ოჯახური ტვირთის თავზე აღება, არის სუიციდის წინაპირობა. მსგავსი პრობლემები არ გვხვდება ასაკით უფროს წყვილებს შორის და შესაბამისად სუიციდის რისკიც ნაკლებია.

რაც შეეხება განქორწინებულ წყვილებს, აქ თვითმკვლელობის რაოდენობა 4-5 ჯერ აღემატება, დაქორწინებულ წყვილებში არსებულ სტატისტიკურ მაჩვენებელს.

ასაკიანი ადამიანები - გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ მოზარდებში სუიციდი, ყველაზე ხშირია, მცდარია, იმიტომ რომ სუიციდის გამოვლინება ყველაზე ხშირად ასაკიან ადამიანებში ხდება. როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს, ძალიან რთულად გადააქვთ კლიმაქსის და მისი თანმდევი პერიოდი, თუმცა ამ უკანასკნელებში სტატისტიკური მაჩვენებელი გაცილებით მეტია.

საინტერესოა კითხვა - არის თუ არა სუიციდი დაკავშირებული დროის რაიმე კონკრეტულ მონაკვეთთან, ანუ სეზონთან? ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ სუიციდი განსაკუთრებით პროგრესირებს შემოდგომასა და ზამთარში. ბევრი ფაქტორი განაპირობებ ამას, ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი ფერთა პალიტრაცაა, რომელიც დამთრგუნველად მოქმედებს ადამიანის განწყობაზე. ამ დროს, სხვა სიტყვებით, დეპრესიის დროც შეგვიძლია ვუწოდოთ.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ახალგაზრდა ნიჭიერები

3 ივნისს დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით:"ახალგაზრდა ნიჭიერები", რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი სიტყვა-ახალგაზრდული ინიციატივა" (თავმჯდომარე თეა ლეკაშვილი) ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის პროექტის ფარგლებში ანხორციელებდა. პროექტი მიზნად ისახავდა დედოფლისწყაროელი ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას, მათი საზოგადოებისთვის გაცნობას და ერთმანეთთან დამეგობრებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროექტმა თავისი მისია შეასრულა-უამრავმა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი იმ დღეს კულტურის სახლში. რომელი სოფლის წარმომადგენელს აღარ ნახავდით აქ. ყველა ცდილობდა, თავისი ნიჭისა და შესაძლებლობის მაქსიმალურად წარმოჩენას. შესრულდა სხვადასხვა ნომერი-მუსიკალურიც, ქორეოგრაფიულიც. მხატვრულ კითხვაშიც შეეჯიბრნენ ერთმანეთს ნორჩი დეკლამატორები. გამომსვლელებს სჯიდა კომპეტენტური ჟიური, რომელმაც ღონისძიების დასასრულ „ჟიურის სიმპათია" გამოავლინა. ამ საპატიო ტიტულის მფლობელი გახდა ქვემო ქედელი მოსწავლე დავით მარაული, რომელმაც მშვენივრად შეასრულა მაიკლ ჯეკსონის სიმღერა, თუმცა მაყურებელი მეტად მოხიბლა (და როგორც ჩანს ჟიურიც) მისმა ლექსების მხატვრული კითხვის გამორჩეულმა უნარმა.

ღონისძიების არცერთი მონაწილე საჩუქრის გარეშე არ დარჩენილა-სამახსოვრო საჩუქარი ყველა გუნდსა და შემსრულებელს ერგო. საღამო მიჰყავდა ასევე ნიჭიერ ახალგაზრდას ქეთი შანშიაშვილს.

ბავშვების დამეგობრებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ღონისძიების შემდეგ დაგეგმილმა ექსკურსიამ, სადაც ახალგაზრდებმა საერთო ენა უცებ გამონახეს და მეორე შემოქმედებითი საღამო ბუნების წიაღში გამართეს.

ინგა შიოლაშვილი

სამთაწყაროში მოქმედი ანსამბლი დახმარებას ითხოვს

სოფელ სამთაწყაროში მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჰერეთი", რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინ აღდგა, საჭირო ფართით დახმარებას ითხოვს. როგორც ანსამბლის ხელმძღვანელი ნოდარ შაინიძე გაზეთ „შირაქთან" საუბარში აცხადებს, ისინი ყოფილი საბავშვო ბაღის მიტოვებული შენობის დარბაზში იკრიბებიან, სადაც შესაბამისი პირობები არ არის.

ანსამბლში მოზარდთა 50%-ს ინგილო მოცეკვავეები შეადგენენ, დანარჩენს კი აჭარიდან დედოფლისწყაროში ჩამოსახლებული ეკომიგრანტები. ანსამბლის ხელმძღვანელი ამბობს, რომ კარგი იქნებოდა, ხელისუფლებას სამთაწყაროში კულტურის სახლის შეჩერებული მშენებლობა დაესრულებინა. ნოდარ შაინიძე სოფელში კულტურული ცხოვრების გამოსაცოცხლებლად დახმარებას ითხოვს. მისი თქმით, სასაზღვრო სოფლისთვის კულტურის სახლის აღდგენა ძალზე მნიშვნელოვანია.

„30 ადგილობრივი ბავშვი დადის ჩვენს ანსამბლში. კვირაში რამდენჯერმე ვიკრიბებით და ვვარჯიშობთ. გვაქვს ბევრი ცეკვები და პროგრამა. ახლახან კონცერტები ჩავატარეთ სოფელ ფიროსმანსა და საბათლოში. ფინანსურად ძალიან გვიჭირს, ამიტომ კონცერტებში მონაწილეობის მიღებას ხშირად ვერ ვახერხებთ. ახლაც თბილისში ვიყავით მიწვეული, მაგრამ ტრანსპორტირების პრობლემა გვაქვს და გამგზავრება ვერ შევძელით. სამომავლოდ საკმაოდ კარგი და დიდი გეგმები გვაქვს, ახლა ივნისის ბოლოს ქობულეთში ვართ მიწვეულები, სადაც კონცერტს გავმართავთ და ჩვენს შემოქმედებას აჭარლებსაც გავაცნობთ. ბევრ ჩვენს მოსწავლეს აჭარაში ნათესავები ჰყავს. ხელშეწყობა და თანადგომა რომ გვქონდეს, გაცილებით მეტი შედეგი გვექნებოდა. ჩვენი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ სავარჯიშოდ სპეციალური შენობა არ გვაქვს... მოგეხსენებათ, სოფელ სამთაწყაროში რამდენიმე წლის წინ კულტურის სახლის შენობის მშენებლობა შეჩერდა. კედლები ამოყვანილია, თუმცა, სამწუხაროდ, ჭერის გადახურვა და დასრულება არ მოხერხდა. სამთაწყაროში ორი საბავშვო ბაღი იყო და ამჟამად ჩვენ ერთ-ერთი ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაში ვმუშაობთ. შესაბამისი პირობები არ გვაქვს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის და აქ ვმუშაობთ. შენობა არც ძალიან ცუდ მდგომარეობაში არაა, მაგრამ იქვე ცხოვრობს ერთ-ერთი მოსახლე, იქვეა მოწყობილი სამლოცველოც. კარგი იქნებოდა კულტურის სახლის შენობა დასრულდეს. მის ასაშენებლად ამდენი თანხები დაიხარჯა და ასე უყურადღებოდაა მიტოვებული," - განუცხადა „შირაქს" ნოდარ შაინიძემ.

ანსამბლის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ საზღვრისპირა სოფელში კულტურის სახლის გახსნა დედოფლისწყაროს სოფლებში ამჟამად არსებულ მიგრაციას მნიშვნელოვნად შეაფერხებს, რაც სოფლის გასაძლიერებლად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. შაინიძე არ მალავს, რომ ანსამბლს საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოსავლენად საჭირო პირობები არ გააჩნია.

„კულტურის სახლის ამ შენობის დასრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმიტომაა, რომ საქმე საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის გამაგრების საკითხს ეხება. მოგეხსენებათ, ჩვენი სოფლებისთვის მიგრაციის პრობლემა სერიოზულად დგას. კულტურის სახლის ამოქმედებით კი მოზარდი თაობა ადგილზე დამაგრდება, დედაქალაქსა და ქვეყნის საზღვრებს გარეთ წასვლა აღარ მოუწევთ. განათლებასაც ადგილზე დაეუფლებიან და სოფელი ბევრად გამოცოცხლდება. განსაკუთრებით კი სამთაწყაროში კულტურული ცხოვრების გამოცოცხლება გვჭირდება. რამდენიმე კვირის წინ ჩვენს სოფელში საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, კახეთის ყოფილი გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი ჩვენს მოსახლეობას შეხვდა და პრობლემებით დაინტერესდა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ სოფელში გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემები იყო, რომლებმაც ეს საკითხი დროებით დაჩრდილა. გვინდა საანგარიშო კონცერტი გავმართოთ და იმედი მაქვს, ამას უახლოეს მომავალში შევძლებთ," - აცხადებს ანსამბლის ხელმძღვანელი.

როგორც „შირაქმა" გაარკვია, ანსამბლი ცეკვისთვის საჭირო სამოსით უკვე უზრუნველყოფილია. შაინიძე განმარტავს, რომ პრეზიდენტის ფონდიდან 2007 წელს საჩუქრად მიიღეს ყველა ცეკვისთვის განკუთვნილი ახალი ფორმები, მთლიანობაში 32 წყვილი.

„16 მასიური ცეკვა გვაქვს ჩვენს პროგრამაში და ამჟამად ბავშვებისთვის ყველა ფორმა გვაქვს. პრეზიდენტის ეს საჩუქარი ჩვენთვის დიდი შეღავათი იყო, თორემ საკუთარი ძალებით და მშობლების ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ასეთ ფორმებს ნამდვილად ვერასოდეს შევიძენდით. ფორმების გარეშე კი ჩვენი გეგმების განხორციელებას ნამდვილად ვერ შევძლებდით. გულწრფელად გითხრათ, ანსამბლში პოტენციალს ნამდვილად ვხედავ. მიუხედავად იმისა, რომ რაიონულ ცენტრს მოწყვეტილი სოფელია და სულ ახლახან დავიწყეთ სწავლა, მინდა ვთქვა, რომ ბავშვები საოცარ ენთუზიაზმს ავლენენ. მაქსიმალურად ცდილობენ, კარგი შედეგი აჩვენონ," - ამბობს შაინიძე და სოფელში კულტურული ცხოვრების გამოცოცხლების პერსპექტივას კულტურის სახლის შენობის დასრულებაში ხედავს და ოცნებობს, რომ წარმოდგენების ჩატარების საშუალება სასაზღვრო სოფელშიც იყოს შესაძლებელი.

ილია მარტყოფლიშვილი

წარმატებული დებიუტი

4 ივნისს ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის მოსწავლეთა კამერული მუსიკის კონცერტი გაიმართა.სემინარიის მოსწავლეებმა კამერული ორკესტრი „თბილისის კონცერტინოს" თანხლებით(დირიჟორი გიორგი შილაკაძე) შასრულეს იოჰან სებასტიან ბახის, იოზეფ ჰაიდნის, ფლორიან ზეიცის, გეორგ ფრიდრიხ ჰენდელის, ფრიც კრეისლერის ნაწარმოებები.

წარმატებული დებიუტით თავი დაგვამახსოვრა ჩვენი თანამემამულის, არც თუ შორეულ წარსულში ყველა თაობის საყვარელი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ფიროსმანი" ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელის მიხეილ ალადაშვილის შვილიშვილმა, სამუსიკო სემინარიის სიმებიანი განყოფილების მეორე კლასის მოსწავლემ ელენე ჩხარტიშვილმა, (პედაგოგი პროფესორი როდამ ჯანდიერი), რომელმაც მსმენელს შესთავაზა ფლორიან ზეიცის - სავიოლინო კონცერტი სოლ მაჟორი, თხზულება 13 N2, II-III ნაწილი.

მსმენელი ხანგრძლივი ტაშით აჯილდოვებდა თითოეულ ნორჩ სოლისტს.

ნანა ჭიჭინაძე

პეტრე–პავლობა

11 ივნისს იწყება პეტრე-პავლობის მარხვა, რომელიც 12 ივლისს დასრულდება.

ქრისტეს მოწაფეთა - მოციქულთა შორის მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებულ პატივს ორ მათგანს მიაგებს და მათ თავმოციქულებად სახელსდებს. ესენი არიან - წმ. პეტრე და პავლე, რომელნიც წმ. მღვდელთმთავარ იოანე ოქროპირის სიტყვით „აღემატნენ ყოველგვარ ბუნებას მიწიერსა და ზეციურს. ისინი, ხორცში მყოფნი, აღემატნენ ანგელოსებს... პეტრე - დასაბამი მართლმადიდებლობისა, დიდებული მღვდელთმსახური ეკლესიისა... პავლე - ჭეშმარიტების ჩინებული მქადაგებელი, ქრისტეს ეკლესიის ფხიზელი მესაჭე“.

წმ. მოციქული პეტრე, უფროსი ძმა ანდრია მოციქულისა, უფლის ხმობამდე გალილეის ტბასთან მდებარე პატარა ქალაქ ბეთსაიდის მეთევზე იყო. სახელად ადრე სვიმონი ეწოდებოდა. „შენ ხარ სვიმონ, ძე იონაისი, შენ გეწოდოს კეფა, რომელი ითარგმანების: კლდე“ ასე უთხრა მას იესო ქრისტემ (იოანე 1.42), როდესაც მიჰხედა. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ვლიდა რა ქრისტე გალილეის ტბის ნაპირთან, კვლავ იხილა პეტრე და ანდრია, რომელნიც ბადეს აგდებდნენ ტბაში. „მოვედით და შემომიდექით მე და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა“ (მათე 4.19) (კონდაკი 2) - ამ სიტყვებმა, რომლებიც უბრალო მეთევზეებისადმი იყვნენ მიმართულნი, გადაწყვიტეს მათი ბედი. მგზნებარე პეტრე, მხურვალედ მოყვარული უფლისა იესოსი, მაშინვე შეუდგა მას. მალე თვით უფალმა მოინახულა პეტრეს სახლი და მხურვალებისაგან განკურნა მისი სიდედრი (მარკოზი 1.29-31).

ჰქონდა რა უდიდესი რწმენა და ერთგულება, პეტრე, - ერთი მხოლოდ ქრისტეს მოწაფეთაგან - გაკადნიერდება სთხოვოს უფალს: „უფალო... მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა“. უფლის სიტყვისაებრ იგი ნავიდან წყალზე გადმოვიდა და როგორც ხმელეთზე ისე გაეშურა მისკენ. მაგრამ შეეჭვდა რა ღვთიურ შეწევნაში, დანთქმა იწყო. „უფალო, მიხსენ მე!“ შესძახა პეტრემ. და ღვთიურმა მოძღვარმაც არ დაახანა, მეყვსეულად განართხო ხელი და კვლავ უკან, ნავში, აიყვანა (მათე 14.28-32) (იკოსი 3). მაგრამ არა მარტო ქარბორბალასა და ქარისაგან იხსნა უფალმა, არამედ მცირედმორწმუნეობისგანაც, ეტყოდა რა „მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რათა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაი შენი“ (ლუკა 22, 32) (კონდაკი 4).

თაბორის მთაზე პეტრე იაკობსა და იოანესთან ერთად გახდა მოწმე უფლის ღვთიური დიდებისა. დაინახა რა უფალი იესო ქრისტე ფერიცვალებით და ესმა ხმა მამაღმერთისა „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ“, პეტრემ განიხარა და წამოიძახა „კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაი“ (მარკოზი 9.2-7) (იკოსი 5). ამაზე მოგონება მის ერთ-ერთ ეპისტოლეშია შემორჩენილი (2 პეტრე 1.17-19).

მოახლოვდა რა ჟამი მაცხოვრის მხსნელი ვნებებისა, იერუსალიმისაკენ მიმავალი დაეკითხა იგი თავის მოწაფეებს „თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად?“ პეტრემ, მოციქულთა შორის პირველმა, სთქვა: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაი“, რისთვისაც უფლისაგან უდიდესი შექება დაიმსახურა: „ნეტარ ხარ შენ, სვიმონ ბარ იონა“ („იონა“ ქართულად მტრედს ნიშნავს, „ბარ“ კი „ძე“-ს, ხოლო მტრედი სულიწმიდის სახეა, ანუ პეტრეს მადლმოსილების გამო სულიწმიდის ძე, შვილობილი უწოდა)... „შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათე 16.15-18) (იკოსი 1.7). პეტრესეულმა აღმსარებლობამ თავისი გამოძახილი ჰპოვა მოციქულთა სადღესასწაულო საკითხავებში „ქრისტემან შენ პირველი გამოგაჩინა, პეტრე, და საფუძველად სარწმუნოებასა გვირგვინოსან-გყო შენ“. საიდუმლო სერობის უწინარეს სიონის ქორედზე მაცხოვარმა „... მოიღო არდაგი და მოირტყა იგი... და იწყო ბანად ფერხთა მოწაფეთა თვისთა“. „უფალო, შენ დამბანა ფერხთა ჩემთა?“ შეეწინააღმდეგა პეტრე. „უკუეთუ არა დაგბანნე შენ ფერხნი, არა გაქუნდეს შენ ნაწილი ჩემ თანა“ - განუმარტა მას უფალმა. და მაშინ პეტრემ, შიშითა და სიყვარულით მოცულმა, შეჰლაღადა: „უფალო ნუ ხოლო ფერხნი ჩემნი, არამედ ხელნიცა და თავიცა ჩემი“ (იოანე 13.3-9) (იკოსი 9).

მოწაფეთაგან მხოლოდ ერთი, პეტრე, გამოექომაგა უფალს გეთსიმანიის ბაღში. აღმოიხადა მახვილი და ერთ იქ მოსულთაგანს მოჰკვეთა ყური, მაგრამ მაცხოვარმა თვით თავისი სიკვდილის წინაც კი იზრუნა და განკურნა ყურმოჭრილი. პეტრე გაჰყვა უფალს კაიაფა მღვდელთმთავრის სახლამდის, მასთან ერთად შევიდა ეზოში და იდგა იქ ცეცხლთან და თბებოდა. მაგრამ სამგზის უარჰყო თავისი ღვთიური მოძღვარი, როცა მასაც ხელს ადებდნენ, როგორც ქრისტეს მონაფეს: „არა ვიცი კაცი ესე“ (მარკოზი 14.71) და როდესაც მესამედ უარჰყოფდა დაინახა რომ უფალი უმზერდა მას და „განვიდა გარე და ტიროდა მწარედ“ (ლუკა 22.62) (კონდაკი 10). ერთ-ერთი წმინდა გადმოცემით, მას მერე ყოველთვის, როცა კი მოესმოდა მამლის ყივილი პეტრე თურმე მწარედ ატირდებოდა ხოლმე, მომგონებელი თავისი ამ შეცოდებისა, ისე რომ ხშირი ტირილისაგან თვალის უპესთან სისხლიანი ღარები გაუჩნდა.

მაგრამ არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელსაც გულმოწყალე უფალი არ ჰპატიებდეს. პეტრეს სინანული იმდენად ძლიერი და ღრმა იყო, რომ აღდგომის შემდეგ უფალი პირველს, მოწაფეთა შორის, პეტრეს ეჩვენა. სამჯერ დაეკითხა პეტრეს: გიყუარ მეა? და სამგზის მიიღო პასუხად: ჰე, უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ (იოანე 21.15-16). იესო ქრისტემ აღადგინა იგი მოციქულის ღირსებაში, ანდო მას დასამწყსველად თავისი სიტყვიერნი ცხოვარნი (იკოსი 11).

უფლის ამაღლების შემდგომ პეტრეს რჩევისაებრ ათორმეტ მოციქულთა შორის შეირაცხა მატათა (საქმე 1.15-26). ამას შემდეგ, სულთმოფენობისას, პეტრე პირველქრისტიანული თემის წინამძღოლი შეიქმნა. მკვდრეთით აღმდგარი უფლის მგზნებარე სიყვარულით შთაგონებული მისი ქადაგება იმდენად ცხოველსმყოფელი ზემოქმედების იყო, რომ ათასობით ადამიანს მოაქცევდა ქრისტეს სარწმუნოებაში (საქმე 2.41; 4.4). საოცარი ნიშები ახლდა პეტრესეული აღმსარებლობის ქრისტესმიერ რწმენას. მკვდრები აღსდგებოდნენ (საქმე 9.40), მკელობელნი და განრღვეულნი განიკურნებოდნენ (საქმე 3.1-8; 9.32-34), დანაშაულში მხილებულნი სულს განუტევებდნენ (საქმე 5.5-10).

ცნობილია წმ. პეტრე მოციქულის ორი კათოლიკე ეპისტოლე (დაახლ. 63 და 67 წწ.). მეორე ეპისტოლეში წერს „უწყი, რამეთუ ადრე ყოფად არს დატევებაი საყოფელისა ამის ჩემისაი, ვითარცა - იგი უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან მაუწყა მე“ (2 პეტრე 1.14), ანუ უფლის სიტყვისაებრ წინასწარმეტყველებს თავის მოახლოებულ აღსასრულს. იმპერატორ ნერონის ბრძანებით პეტრე მოციქული შეიპყრეს და განაჩენად ჯვარცმა გამოუტანეს. სთვლიდა რა უღირსად თავს მიეღო ისეთივე მოწამეობრივი სიკვდილი, როგორც მის მასწავლებელს ჯალათებს სთხოვდა თავქვე ეცვათ ჯვარს, სურდა რა სიკვდილის დროსაც დაეხარა თავი უფლისთვის.

წმ. მოციქული პავლე წარმოშობით ბენიამენის ტომიდან იყო და თავის მოციქულებრივ მსახურებამდის სახელად სავლე ერქვა. კილიკიის ქ. ტარსუში დაბადებული „განსწავლულ ზედმიწევნით მამულითა სჯულითა; მოშურნე ვიყავ ღმრთისათვის“, როგორც თვითონვე ამბობდა საკუთარ თავზე, - „ვსდევნიდ ვიდრე სიკუდილამდე, შევჰკრებ და მივსცემდ საპყრობილედ მამათა და დედათა“ (საქმე 22.3-4). იგი იწონებდა მთავარდიაკონ სტეფანეს წამებას და მის ქვით ჩამქოლავთა სამოსელსაც კი სდარაჯობდა (საქმე 7.58). 34წ. მღვდელთმთავართა დავალებით იგი ქ. დამასკოში გაემგზავრა რათა იქ თავშეფარებული ქრისტიანები საწამებელად გადაეცა. გზაში ერთი მოვლენა შეემთხვა, რამაც ძირეულად შეცვალა სავლეს ბედი.

როდესაც იგი დამასკოს მიუახლოვდა, იგი ღვთიურმა ნათელმა მოიცვა. ყველა მისი მხლებელი მხედარი ცხენებიდან ქვე ჩამოვარდა, ხოლო სავლეს ესმა ხმა, რომელიც იტყოდა: „საულ, საულ, რაისა მდევნი მე? ფიცხელ არს შენდა წიხნაი დეზისაი“. სავლე დაეკითხა: შენ ვინ ხარ, უფალო? ხმამ უპასუხა: მე ვარ იესო, რომელსა შენ მდევნი. არამედ აღდეგ და დადეგ ფერხთა შენთა ზედა, რამეთუ ამისთვის გეჩვენე შენ, რა თა დაგადგინო შენ მსახურად და მონამედ, რომელი იხილე და რომელი გიჩუენო შენ (საქმე 26.13-16).

სავლეს მხლებლებს ხმა ესმოდათ, მაგრამ სიტყვებს ვერ არჩევდნენ. ღვთიური ნათებისაგან სავლე დაბრმავდა და უფლის მითითებით გაეშურა დამასკოსაკენ, სადაც ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი ანანია ცხოვრობდა. ამ უკანასკნელს კი გამოცხადებით ემცნო: აღდეგ შენ ადრე და მივედ უბანსა მას, რომელსა ჰრქვიან მართალი, და მოიძიე ტაძართა მათ იუდასთა სავლე სახელითა, ტარსელი (საქმე 9.11). ანანიას მისთვის ხელი უნდა დაესხა და თვალი აეხილებოდა. აღასრულა რა ბრძანებული სავლეს მყის აეხილა თვალი, ნათელს-იღო და ეწოდა სახელად პავლე (იკოსი 2).

მოიღო რა პავლემ უფლისაგან ბრძანება, ეხარებინა სასუფეველი, იწყო მქადაგებლობა იუდეველებსა და წარმართებში, მონებს შორის და თავისუფლებში, რისთვისაც თავს იდო ხანგრძლივი მოგზაურობები და წარგზავნიდა ეპისტოლეებს. პალესტინასა და მცირე აზიაში, საბერძნეთსა და იტალიაში, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე გაისმოდა მოციქულის მგზნებარე სიტყვა (კონდაკი 3, იკოსი 4, კონდაკი 5). კუნძულ კვიპროსზე მოგზაურობისას აღივსება რა წმ. პავლე სულითა წმიდითა დაუშლის მოგვ ელვიმას ანთვიპატ სერგი პავლეს „გარდაქცევად გზათა მათ უფლისათა წრფელთა“. პავლე მოციქულის სიტყვისაებრ მოგვი დაბრმავდა და „მიმოვიდოდა და ეძებდა მძღუარსა“ (საქმე 13.8-11) (იკოსი 6). დაახლოებით 51წ. პავლე მონაწილეობდა მოციქულთა კრებაში იერუსალიმს. შეკრებილთ პავლემ ამცნო: „რავდენი ქმნა ღმერთმან ნიშები და სასწაულები წარმართთა შორის მათ მიერ“ (საქმე 15.12). კრებამ გადაწყვეტილება მიიღო წარმართებისათვის არ დაეძალებინათ მოსეს სჯულის აღსრულება, ხოლო „კეთილსა იქმოდეთ“-ო (საქმე 15.29).

თავის განუწყვეტელ ღვაწლში მრავალი ჭირთათმენა უწევდა წმ. პავლეს. „ჰურიათაგან ხუთ გზის ორმეოცსა ერთი მოკლებული ცემა მოვიღე. სამგზის კუერთხითა ვიეც, ერთ გზის ქვითა განვიტვინე, სამგზის ნავი დამექცა, ღამე და დღე უფსკრულთა შინა დავყავ“ (2 კორინთელთა 11.24-25) (იკოსი 10). ფილიპესა და მაკედონიაში ქადაგებისას შეპყრობილ იქნა და საპყრობილეში ჩაგდებულ. მაგრამ ბორკილდადებულიც განაგრძობდა ლოცვასა და ღვთის დიდებას და შუაღამისას დიდი ძრვა იყო, კარნი განეხვნეს და ბორკილები დასცვივდა (საქმე 16.22-26) (იკოსი 8).

ათენში ქრისტეს ახარებდა „მის მიერ ცხოველ ვართ და ვიქცევით და ვართ“ (საქმე 17.28). ამ ქადაგებამ არეოპაგში ახალმოქცეულები შესძინა საქრისტიანოს, მათ შორის მომავალი დიდი ღვთისმეტყველი დიონისე არეოპაგელი. როდესაც მესამე მისიონერული მოგზაურობიდან ბრუნდებოდა პავლე მოციქული კესარიაში შეხვდა აგაბო წინასწარმეტყველს, რომელმაც აიღო პავლეს სარტყელი, „შეიკრა ხელნი და ფერხნი და სთქვა: ამას იტყვის სული წმიდა: კაცი, რომლისა არს სარტყელი ესე, ესრეთ შეკრან იერუსალიემს“ (საქმე 21.11) (კონდაკი 11). ამით აგაბომ ბორკილები უწინასწარმეტყველა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უნდა ეტარებინა. იერუსალიმში დაბრუნებისას პავლე მოციქული შეიპყრეს და როგორც რომის მოქალაქე კეისრის სამსჯავროზე გაგზავნეს.

აქ, რომში წმ. პავლე პეტრე მოციქულს შეეწეოდა მოქალაქეთა ქრისტიანულ განათლებაში. ერთ-ერთი გადმოცემით მან მოაქცია იმპერატორის მეღვინეთუხუცესი, რისთვისაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. წმინდა მოციქულმა სიცოცხლე თავისკვეთით დაასრულა.

ზოგიერთი მოწმობით პეტრე და პავლე მოციქულები ერთ დღეს აღესრულნენ მოწამეობრივად, სხვა გადმოცემით - პავლეს სრული ერთი წლის შემდეგ მოკვეთეს მახვილით თავი პეტრეს ჯვარცმის შემდგომ. მათი ხსენების დღესასწაული იმთავადვე დაწესდა, ხოლო დაკრძალვის ადგილი წმინდა იყო პირველქრისტეანთათვის. IVს. წმ. მოციქულთასწორმა კონსტანტინე დიდმა რომსა და კონსტანტინეპოლში აღმართა ტაძრები წმ. თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელზე.

მეუღლე ლეილა ჯამასპიშვილი; შვილები: დალი, ლალი, ზურაბ ტალიაშვილები; სიძეები: დავით ალანია, ირაკლი კვერენჩხილაძე; შვილიშვილები: ელენე ალანია, გიგი და ანანო კვერენჩხილაძეები; და მზია, ძმები: ილია და ლადო ოჯახებით იუწყებიან

ნუგზარ ტალიაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 7 ივნისს ქ. დედოფლისწყაროში.

მეზობლები: ზურაბ ხუციშვილი, მამა ნიკოლოზი(ლომსაძე), რეზო მარტყოფლიშვილი, ანა ბენაშვილი, ვასიკო მაჭარაშვილი, შოთა პოლიკაშვილი, სიმონ ფიროსმანაშვილი, პელიკო ფავლენიშვილი, გოდერძი წიკლაური, ამირან ზუბადალაშვილი სამძიმარს უცხადებენ ლარისა, დათო, მარინა, თამაზი ზურაშვილებს

ლერის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „შირაქის“რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლეილა ჯამასპიშვილს და ილია ტალიაშვილს

ნუგზარ ტალიაშვილის

გარდაცვალების გამო.

შ.პ.ს. „სერვისი 2007“ - ის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დირექტორს ილია ტალიაშვილს ძმის

ნუგზარ ტალიაშვილის

გარდაცვალების გამო.

„მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ...“

ნიკო ფიროსმანის თემას მიეძღვნა რამდენიმე დღის წინ სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მიერ წარმოდგენილი საზეიმო საღამო. მოგვეხსენება ,წელს ფიროსმანის დაბადებიდან 150 წლის იუბილეს აღნიშნავს სრულიად საქართველო და, ამიტომ, 2012 წელი ფიროსმანის წლადაა გამოცხადებული. ვფიქრობთ, ნიკალას საპატივსაცემოდ არაერთი ღონისძიება და საღამო ჩატარდება, თუმცა პირველები, ვინც წელს ფირომანის ხსოვნას საკადრისი პატივი მიაგო, მაინც ხორნაბუჯელები აღმოჩნდნენ, მეოთხე კლასის პედაგოგი და ხელმძღვანელი ჟანა ბაბაიანი, საკმაოდ გემოვნებიანი ქალბატონია და არც ამჯერად შეშლია რაიმე, როდესაც საზეიმო მასალად სწორედ ფიროსმანის თემა აირჩია, თემა, რომელიც არასოდეს სწყინდება საზოგადოებას და ამოუწურავია.

მიუხედავად იმისა,რომ მოსწავლეები რუსულენოვანი სექტორის ბავშვები გახლდნენ, რუსული აქცენტით, მაგრამ ქართული სიტყვებით მომხიბლავად წაგვიკითხეს ფიროსმანზე შექმნილი ლექსები და შეგვისრულეს სიმღერები.

ღონისძიება ფიროსმანის მშობლიური სოფლის და ეთნოგრაფიული სახლის ეკრანზე ჩვენებით დაიწყო, რომელსაც თან სდევდა ფიროსმანის ცხოვრებისთვის დამახასიათებელი სევდით სავსე არაჩვეულებრივი სიმღერა -,,ჩემი თბილისი და ფიროსმანი, არ ვიცი ასე რამ შემაყვარა!“ მოსწავლეებმა წარმოგვიდგინეს სცენები ნიკალას ცხოვრებიდან. ღონისძიება გამორჩეული იყო იმით, რომ ბავშვებმა თავისი ჩაცმულობით ჩვენს წინაშე ფიროსმანის გმირები გააცოცხლეს და მაყურებელი ფიროსმანის სამყაროში გადაიყვანეს. შეგვახსენეს ნიკალას ნაღვლიანი ბავშვობის წლები, შემდეგ მის მიერ ქალაქში განვლილი ტკბილ-მწარე ცხოვრება, რკინიგზა და მიკიტნებთან აბრის მხატვრად მუშაობა. თავმოყვარე ნიკალას ქიზიყური და თავისებური ხედვა ყველაფრისადმი. და როგორც ასათიანის ლექსშია ნათქვამი, “ტივი, დუდუკი და ფრთიანი ორაგულები”. ძალიან მოგვხიბლეს ნიკალას ნახატების გმირებმა,, მეეზოვემ“ - ზოროღლიანი სერგო , ,,მწყემსმა“- საშა ხოლოდნოვი, თვით ნიკალამ -თამაზ საბიაშვილი, ,,მეთევზემ“ - გიგაური ნიკა, „მარგალიტამ“ - ჩერლოვა ილონა, ,,გოგონამ ბუშტით“ -ლიზი მამონოვა. ბავშვებმა შეასრულეს ცეკვები-,,განდაგანა“, „კინტაური“ და „ხევსურული“. მოსწავლეების ასე კარგად წარმოჩენაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს სკოლის ქართული ენის პედაგოგმა თამარ ხანიაშვილმა, შრომა გასწიეს მთელი კონცერტის განმავლობაში მუსიკის პედაგოგებმა: ირინე ალუღიშვილმა და თამარ რამაზანაშვილმა, რომლებმაც მუსიკალურად გააფორმეს ღონისძიება, რისთვისაც ქალბატონმა ჟანამ მადლობა გადაუხადა მათ. ღონისძიებას ესწრებოდნენ დედოფლისწყარის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის წარმომადგენლები, აქვე გახლდათ და სიტყვით გამოვიდა, მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორის მოადგილე ნონა ჯიბღაშვილი - ,,მე კარგად ვიცი, რა არის სცენა, ისიც ვიცი, თუ ტაშის დაკვრამდე მისვლას რა კოლოსალური შრომა სჭირდება. მივესალმები თქვენი პედაგოგის მიერ გაწეულ ღვაწლს და ვთვლი, რომ ასეთი ღონისძიებები ხშირად უნდა ჩატარდეს, რადგან დამერწმუნეთ, რომ ასე გამოზრდილი თაობები მომავალშიც წარმატებულები იქნებიან.“ -აღნიშნა ჯიბღაშვილმა.

სიტყვით გამოვიდა და მადლობა გადაუხადა ფიროსმანის შემოქმედების ღრმა წვდომისთვის და შესწავლისთვის ბავშვებს სკოლის დირექტორმა ლალი მენთეშაშვილმა.

აქვე მოწვეული გახლდათ ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის მმართველი ნელი გობეჯიშვილი, რომელმაც ჟანა მასწავლებელი და მისი ბავშვები უფასოდ დაპატიჟა მირზაანის სახელმწიფო მუზეუმში. მანვე ქალბატონ ჟანას მისი პიროვნების პროფესიონალ ქალთა ასოციაციის საავტორო წიგნში - ,,საქართველოს ერთი ცის ქვეშ“ შეყვანა შესთავაზა იმ ღვაწლისთვის, რაც მან წლების განმავლობაში ორენოვანი ბავშვების სწავლების პროცესში გასწია.

მართალია, ნიკო ფიროსმანს ღონისძიებებით საკადრის პატივს მივაგებთ, მაგრამ მასალაზე მუშაობისას ინფორმაცია მივიღეთ, რომ ფიროსმანის მუზეუმის სარესტავრაციო პროექტი დაფინანსების სიიდან ამოიღეს, რაც იმის ტოლფასია, რომ უახლოეს ხანში იქ ახალი არაფერი გაკეთდება. როგორც ჩანს, ფიროსმანი და მირზაანი ისევ და ისევ ჩვენი საზოგადოების და ხელმძღვანელობის წყალობის იმედად რჩება.

ლალი მეხრიშვილი.

უ შ უ

26-27 მაისს ქ.თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი უშუ-ში. სადაც დედოფლისწყაროს საბრძოლო ხელოვნებათა კლუბიც მონაწილეობდა, დედოფლისწყაროს კლუბიდან ამ ტურნირზე ორი სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას და საკმაოდ წარმატებითაც, 10 წლის ნიკა ჩიტიშვილი (№1 საჯარო სკოლა) საქართველოს ჩემპიონი გახდა,ხოლო 15 წლის ლევან წიკლაურმა (რუსულ-ქართული საჯარო სკოლა) მესამე ადგილი დაიკავა. საკმაოდ ლამაზი ტექნიკური ბრძოლა აჩვენა ნიკა ჩიტიშვილმა, რომელმაც ფინალური ბრძოლა საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგესთან გამართა და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა. შეჯიბრს სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტოს წარმომადგენლები, ასევე საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია. შეჯიბრის ორგანიზატორი იყო საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაცია.

ძ ი უ დ ო

ქალაქ ახმეტაში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გუგული აბრამიშვილის სახელობის მე-3 საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 1996-98 და 1999-2001 წლებში დაბადებულთა შორის. 60კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა გიორგი გუგენიშვილმა (ზემო მაჩხაანი).

მწვრთნელი საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი ვაჟა მოსულიშვილი.

ს ა ნ დ ა

ზემო მაჩხაანი არის დიდი სპორტული ტრადიციების სოფელი, სადაც აღიზარდნენ გამოჩენილი სპორტსმენები, ძიუდოს პაპად წოდებული ბიძინა მაზიაშვილი, საბჭოთა კავშირის და ევროპის ჩემპიონი ანზორ მარტყოფლიშვილი, თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი ძიუდოში ჰამლეტ ლოლაშვილი.

მის ტრადიციებს აგრძელებს ზემო მაჩხაანის მკვიდრი, მწვრთნელი გენადი ნატროშვილი.

26-27 მაისს ქ. თბილისში შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში გაიმართა საქართველოს რიგით მეცხრე ეროვნული ჩემპიონატი "უშუში". (ორთაბრძოლა „სანდა“ შედის „უშუში“).

ამ ჩემპიონატზე მონაწილეობა მიიღო ზემო მაჩხაანელმა ორთაბრძოლების გუნდმა. გუნდი გამოვიდა შვიდი მებრძოლით. ყველამ საპრიზო ადგილი დაიკავა, ეს არის ძალიან სასიხარულო ბავშვებისთვის და სოფლისათვის.

პირველი ადგილი დაიკავა გელა ჩაფიძემ,მეორე ადგილის მფლობელები გახდნენ ნოდარ ვარდიაშვილი, ომიკო ბიკაშვილი, სანდრო ნატროშვილი, გიორგი ნატროშვილი, ხოლო მესამე ადგილს დასჯერდნენ სოსო ნატროშვილი, დათო თარაშვილი.

ქ ა რ თ უ ლ ი ჭ ი დ ა ო ბ ა

მცხეთაში ჩატარდა საქართველოს ფინალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში 1998-99 წლებში დაბადებულთა შორის.

მეორე პრიზიორები გახდნენ: 40კგ-ში ვაჟა ბუბუნაური და 50კგ-ში ბექა გაგაძე.

მწვრთნელი კახა წიკლაური.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

დედოფლისწყაროს სამედიცინო და ჰუმანიტარული სასწავლებელი აცხადებს მიღებას 2012–2013 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

*მედდის საქმე
*სამეანო საქმე
*ფარმაცია
*ორთოპედიული სტომატოლოგია
*სამართალმცოდნეობა
*უცხო ენა
*დაწყებითი განათლება
*ბიზნესის მენეჯმენტი
*ფინანსები და ეკონომიკა (საბუღალტრო)
*ლაბორატორიული დიაგნოსტიკა
*ჟურნალისტიკა
*ვეტერინარია

სწავლა ფასიანია. სასწავლებლად მიიღებიან 9, 10, 11 და 12 კლასდამთავრებულები.

სწავლების ვადა 2 წელი.

ჩარიცხვა გასაუბრებით! (ჩატარდება 12-14 სექტემბერს)

საბუთების მიღება იწარმოებს 27 აგვისტოდან.

საჭიროა წარმოადგინოთ: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 4 ფერადი ფოტოსურათი (ზომით ¾) და პირადობის მოწმობის ასლი.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ.№32 (დედოფლისწყაროს არქივის შენობა, მეორე სართული).

საკონტაქტო ტელეფონები: 0 356 22 52 73; 599 74 73 98.

ულოცავენ!

ვანო ნასრაშვილს!
ნადიკო ჯაბასპიშვილს!

გილოცავთ ახალი სიცოცხლის, პირველი ვაჟიშვილის - **გიორგის** დაბადებას! პატარას ვუსურვებთ მზეგრძელობას, დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, სასახელო ვაჟკაცად გაზრდას ჩვენი ქვეყნის საიმედოდ!

აკვანთა სიმრავლეს გისურვებთ! უფლის წყალობა არ მოჰკლებოდეს თქვენს დიდ ოჯახს.

პატივისცემით: მარტყოფლიშვილები

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

	შაბათი 09.06		კვირა 10.06		ორშაბათი 11.06		სამშაბათი 12.06		ოთხშაბათი 13.06		ხუთშაბათი 14.06		პარასკევი 15.06	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	21°	16°	21°	17°	21°	18°	22°	20°	23°	20°	25°	22°	25°	22°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K